21 მარტი, რომელიც მოძალადე, დამნაშავე ნაციონალური პარტიის ნარჩენებმა „ახალი ფერადი რევოლუციის დღედ“ დანიშნეს, თვითონ ამ ნარჩენების დასამარების დღედ უნდა იქცეს!

საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 20 მარტი, 2015 წელი.

№52 (7697)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ნიღბახდილი სიცრუე

ყოველკვირეული გაზეთი
ქრონიკა+
გამოდის სამშაბათობით N10 (95) 17.03.2015 ფასი 2 ლარი

ვისი დავალებით ქსოვს „ქრონიკა+“-ის რედაქტორი ელისო კილაძე უხამსიანი ჭორების აბლაბუდას?

⑥

უნდა დაისაჯოს დამნაშავე რეჟიმი, რომელმაც ტერიტორიები დაგვაკარგვინა

21 მარტს დაპირისპირება თუ მოხდება, ამისათვის არიან სამართალდამცავები, რომლებიც ამ საქმეს მიხედავენ, მაგრამ მე არა მგონია, რომ რაიმე მოხდეს, — განაცხადა სამეგრელო-ზემო სვანეთში პრეზიდენტის ყოფილმა რწმუნებულმა ემზარ კვიციანმა.

გუშინ ემზარ კვიციანი კოალიცია „ერთსულოვნებისა“ და „ახალგაზრდა უფლებადამცველთა ასოციაციის“ მიერ რუსთაველის გამზირზე გამართულ აქციას შეუერთდა.

„უნდა დაისაჯოს დამნაშავე რეჟიმი, რომელმაც ტერიტორიები დაგვაკარგვინა, გაგვინადგურა ერი და მოსპო გენოფონდი. ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები აპირებენ ამ ყველაფრის გაგრძელებას, ამიტომ ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა შევაჩეროთ დანაშაულებრივი რეჟიმი და ასევე ის ადამიანები, რომლებიც უცხოეთიდან ეხმარებიან მათ, — განაცხადა ემზარ კვიციანმა.

მიხვდნენ!

ვეთანხმებით ჩვენს ჟურნალისტ კოლეგებს!

ძვირფასო რედაქცია!

გუშინ თქვენს გაზეთში წავიკითხეთ „რუსთავი-2“-ის გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიასა და წამყვანი ნაცისტი ჟურნალისტების გიორგი გაბუნიასა და ეკა კვესიტაძის გულწრფელი აღიარება-თვითკრიტიკა ქართველი ერისთვის საინფორმაციო ჯოჯოხეთის მოწყობის თაობაზე.

მიგვაჩნია, რომ ჩვენ უფრო დამსახურებული, გამოცდილი და პოპულარული „ჯოჯოხეთის მოციქულები“ და „რუსთავი-2“-ის ყოველგვარ ზნეობასა და მორალს მოკლებული, სულისშემძვრელი, მაყურებლის მომაკვდინებელი სიუჟეტების ფუძემდებლები ვართ. ამიტომაც გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ უჩვენოდ „რუსთავი-2“-ის სიცრუის კანტორა, ბოროტების პანდორას ყუთი ერთი დღითაც ვერ ახერხებს ნაციონალური სიცრუის ნთხევას... ჩვენ ყველაზე მაგრები ვართ! ამიტომაც, გთხოვთ, ჩვენი გვარ-სახელებიც შემოუნახეთ ბეჭდვითი სიტყვის ისტორიას.

აკაკი გოგიჩაიშვილი, თენგიზ გოგოტიშვილი, დავით კიკალიშვილი

ზაალ ანჯაფარიძე: ნაცმოძრაობაში უნდა ხვდებოდნენ, რომ აქციაზე მოვლენათა რადიკალური სცენარით განვითარება მათთვის არასასურველი იქნება

③

სწრაფად, იაფად და კარგად... არ გამოდის

②

გრიგოლ რუხაძე: აპირებს ქართველი ხალხი ნაცურ გეენიაში დაბრუნებას?

④

⑤ კერძო სასაფლაოებზე საფლავის ფასები 1 500-2 500 დოლარის ფარგლებში მერყეობს

◎ ალიან-ჩალიანი

ზუგდიდის მოვლენები ნაციონალების პროვოკაციაა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ზუგდიდში განვითარებულ მოვლენებს ნაციონალური მოძრაობის მიერ დაგეგმილ პროვოკაციად აფასებს.

„მომხდარ დაპირისპირებასთან დაკავშირებით, რადგან ეს თემა განხილვის საგანი გახდა. რა თქმა უნდა, ჩვენ ერთმნიშვნელოვნად ვგმობთ იქ განვითარებულ მოვლენებს. ძალადობას არავინ მიესალმება და ეს ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია, მაგრამ მინდა, საზოგადოებას განვუმარტო, რომ ეს პროვოკაციაა, რომელიც დაიგეგმა ნაციონალური მოძრაობის მიერ. იყო მშვიდობიანი საპროტესტო აქცია ნაციონალური მოძრაობის და მასთან ასოცირებული ორგანიზაციის ოფისთან. მოხდა მიზანმიმართული პროვოცირება, ხელკეტები და ქვები დაუშინეს აივნებიდან აქციის მონაწილეებს, რაზეც ბუნებრივია, რეაქცია იყო ძალიან ცუდი და ნეგატიური, ვინაიდან ამ ხალხს აქვს ღირსება და თავმოყვარეობა. საზოგადოება 9 წლის განმავლობაში იტანდა ძალადობას და იმ საშინელ რეჟიმს, რომელიც საქართველოში იყო გამეფებული“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისივე განმარტებით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ მომხდარზე გამოძიება უნდა აწარმოოს, თუმცა, ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ ეს იყო პროვოკაცია.

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მტკიცებით, ნაციონალური მოძრობის 9-წლიანი მმართველობის ამსახველ ფილმზე სკოლის მოსწავლეების მიყვანა „გამიზნულად მოხდა“.

„ქალაქ ფოთში ორგანიზება გაუკეთეს „თავისუფალი ზონის“ მხარდამჭერებს, ბავშვებს, სკოლის მოსწავლეებს და გამიზნულად, მიყვანეს ფილმის ჩვენებაზე. ამის შემდეგ კი აქცენტი გადაიტანეს არა იმაზე, რომ ფილმში მოთხრობილი ძალადობა შეეხებოდა იმას, რასაც წლების განმავლობაში თავად ჩადიოდნენ, არამედ იმაზე, რომ ჩვენებას ესწრებოდნენ სკოლის მოსწავლეები. კარგად მოგეხსენებათ, რა ხდებოდა ციხეებში წლების განმავლობაში — როგორ სცემდნენ ბავშვებს, ტანჯავდნენ, აუპატიურებდნენ. ამის ფონზე კი მთელი საზოგადოების, მათ შორის, განათლების სამინისტროს ყურადღება მიმართეს იმ მიმართულებით, რომ იქ რამდენიმე ბავშვი იქნა შეპარული. ახალგაზრდები, როგორც საზოგადოებისთვის გახდა ცნობილი, არიან „თავისუფალი ზონის„ და ნაციონალური მოძრაობის აქტიური მხარდამჭერები. ეს არასწორია და წარმოადგენს საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობას“, — განაცხადა ღარიბაშვილმა, რომლის ინფორმაციითაც, მომხარდზე გამოძიება მიმდინარეობს.

ნაციონალური მოძრაობის ოფისის მაკეტი დაწვეს

კოალიცია „ერთსულოვნებამ“ და „ახალგაზრდა უფლებადამცველთა ასოციაციამ“ რუსთაველის გამზირზე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოფისის მაკეტი დაწვეს.

როგორც კოალიციის ლიდერმა მიხეილ ანდღულაძემ აქციაზე განაცხადა, პარტიის ოფისის მაკეტის დაწვა სიმბოლურ ხასიათს ატარებს. ამასთანავე, მიხეილ ანდღულაძე მოუწოდებს ნაციონალებს, რომ მათ არანაირი უფლება არა აქვთ, 21 მარტს აქცია გამართონ.

— კოალიცია „ერთსულოვნებამ“ ამ პერფორმანსით აჩვენა, თუ რა დამოკიდებულება აქვს ქართველ ხალხს ნაციონალური მოძრაობის მიმართ. მივმართავ პარტიის მესვეურებს, მიიღონ 21 მარტის აქციის გაუქმების გადაწყვეტილება. მათ არანაირი უფლება არა აქვთ მოითხოვონ მთავრობის გადადგომა, — განაცხადეს კოალიციის წევრებმა.

კოალიცია „ერთსულოვნებამ“ და „ახალგაზრდა უფლებადამცველთა ასოციაციამ“ მოსახლეობასაც მოუწოდა, რომ 21 მარტს, ნაციონალური მოძრაობის აქციის პარალელურად საზოგადოებრივ ტელევიზიასთან შეიკრიბონ და გააპროტესტონ ნაციონალური მოძრაობის აქცია.

◎ აბსოლუტურად ყველა ტენდერი შესასწავლია

სწრაფად, იაფად და კარგად... არ გამოდის

საეჭვო ტენდერების შესახებ ქართულ პრესაში არაერთხელ დაწერილა, თუმცა ეს ის თემაა, რომლის ამოწურვაც პრაქტიკულად შეუძლებელია. პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის თავმჯდომარის მოადგილემ თემურ მაისურაძემ ეს სფერო საგანგებოდ შეისწავლა, თუმცა მხოლოდ 2012-2014 წლებში ჩატარებული ტენდერების გამოკვლევა შეძლო. როგორც ამბობს, შესასწავლია თითქმის ყველა ტენდერი — დაწყებული 2003 წლიდან დღემდე, მაგრამ ამას ერთი შსს დასჭირდება: „გარიგებები და მაქინაციები მაშინ რომ ხდებოდა, ის უნდა გენახათ - იყვნენ კომპანიები, რომლებიც სისტემატურად იგებდნენ ტენდერებს, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც ამაზე ოცნებაც არ შეეძლოთ. ეს არის უზარმაზარი მასალა, რომლის შესწავლაც ერთი ან ორი ადამიანის ძალებს აღემატება“, — ამბობს თემურ მაისურაძე. როგორც მან bpn.ge-სთან საუბრისას განაცხადა, ეს სისტემა არც ისე მარტივია, როგორც გვერდიდან ჩანს.

„სპეციალურად შევარჩიე 2012-2014 წლები, რადგან მთლიანად ბოლო წლების შესწავლას ვერავინ შეძლებს. შედეგი ძალიან მძიმე აღმოჩნდა, რადგან თითქმის ყველა რგოლში აღმოჩნდა სერიოზული ხარვეზები. ერთი შეხედვით უნაკლოდ შესრულებულ ტენდერებშიც კი მძიმე დარღვევებია — მიღება-ჩაბარების აქტში თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომელიმე კომისიამ რომ შეამოწმოს და ყურადღებით შეისწავლოს, უამრავ ხარვეზს ნახავს: სამუშაოები უხარისხოდ არის შესრულებული იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც გადავადება, ან დაგვიანება არ აღინიშნება. ნებისმიერი სკოლა ან მუნიციპალური პროექტი, რომელიც განხორციელდა, ელემენტარულ მოთხოვნებსაც ვერ აკმაყოფილებს. თუ გნებავთ, ნებისმიერ კომისიასთან ერთად შევამოწმოთ და თითქოს უნაკლოდ შესრულებულ ტენდერებშიც კი უამრავ ხარვეზს აღმოაჩენთ. აქედან გამომდინარე, ვამბობ, რომ სახსრები, რომლებიც გამოყოფილი იყო ამა თუ იმ საქმის გასაკეთებლად, უმრავლეს შემთხვევაში ტყუილად იხარჯებოდა. ეს ეხება ყველაფერს — დაწყებული გზებით, დამთავრებული მუნიციპალური შენობებითა და სკოლებით. ეს ეხება პროექტებს, რომლებიც შესრულებულია ნაციონალური მოძრაობის მმართველობის ერთი წლის განმავლობაში და იმის შემდეგაც“, — აცხადებს პარლამენტარი.

თემურ მაისურაძის თქმით, უმრავლეს შემთხვევაში ახალი ხელისუფლების მიერ დაწყებული პროექტები ჯერ კიდევ დაუსრულებელია, მათი მოქმედების ვადაც არ ამოწურულა, ამიტომ მათზე წინასწარი დასკვნის გაკეთება შეუძლებელია. „ჯერ ვერ ვამბობთ, როგორი იქნება ამ სამუშაოების შესრულების ხარისხი. როდესაც მიდიხარ, ობიექტს ამოწმებ და შენიშვნას აძლევ, ამბობენ, ყველაფერს გამოვასწორებთო. მაგრამ როდესაც ეს პროექტები ჩაბარდება, მიმაჩნია, რომ კომისია უფრო მკაცრი უნდა იყოს, ხოლო მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერები უფრო მეტად უნდა აგებდნენ პასუხს იმაზე, თუ რას აწერენ ხელს. **იყო შემთხვევები, როდესაც უკვე აშენებული ობიექტი დაზიანდა, ჩამოინგრა და ხელახლა გახდა ასაშენებელი. ზოგ შემთხვევაში კი, დამკვეთი იძულებული იყო, ხელი მოეწერა ისეთ პროექტზე, რომელიც არც ერთ სტანდარტს არ აკმაყოფილებდა მხოლოდ იმიტომ, რომ სატენდერო ვადები არ დარღვეულიყო. ამის კარგი მაგალითია ჩვენი პარლამენტის შენობა ქუთაისში, რადგან აქ ყველაფერი ძალიან ცუდად არის შესრულებული. წესით, ახალ გარემონტებულ შენობებს 10-15 წელი აღარაფერი უნდა დასჭირვებოდა, მაგრამ ბევრი მათგანი ხელახლა გასარემონტებელია. ამის მაგალითია თბილისში დაგებული გზებიც — ორმოები, ოღროჩოღრო გზის საფარი, არასათანადო სისქის ასფალტი და ა.შ...** ძნელია, ყველა ამ ნაკლის ჩამოთვლა, ერთი სიტყვით, ხარვეზები შეიმჩნევა ყველგან და ყველაფერში. ხოლო **როდესაც ერთი და იგივე სამუშაო რამდენჯერმეა შესასრულებელი, რეალურად ეს ფულის გადაყრაა და სხვა არაფერი.**

როგორც გითხარით, ახალი პროექტების უმრავლესობა ჯერ კიდევ ჩასაბარებელია, ამიტომ, მათ შემსრულებლებს დრო კიდევ აქვთ დარჩენილი, თუმცა, გამორიცხული არ არის, ხარვეზები იქაც იყოს. ამიტომ, კარგი იქნება ყველა სამუშაოს თან ახლდეს არა მარტო მიღება-ჩაბარების აქტი, არამედ შესაბამისი ლაბორატორიის დასკვნაც. ეს პროცესი უკვე დაიწყო, სწორედ ლაბორატორია უნდა ამოწმებდეს შესრულებული სამუშაოს ხარისხს და შესაბამისობას მიღება-ჩაბარების აქტის პირობებთან. საესიამოვნოა, რომ ამ საქმეში სამხარაულის საექსპერტო ბიუროც არის ჩართული“, — აცხადებს თემურ მაისურაძე.

პარლამენტარის შეფასებით, ხშირად ეს დარღვევები სისტემური ხასიათისაა, ამიტომ, მათი დიდი ნაწილი სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა შეისწავლონ: „არაერთხელ მოვუწოდე მათ, გამოიკვლიონ რომელ ტენდერში რა დარღვევაა. ეს ყველაფერი ძალიან სერიოზულ შესწავლას მოითხოვს. ჩემთვის ძნელია თქმა, რომელი ტენდერი შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს და რომელი — არა, მაგრამ ვიცი, რომ აბსოლუტურად ყველა ტენდერი შესწავლას მოითხოვს. ჩემი აზრით, ტენდერების ჩატარებისა და შესრულების პროცესი მომავალშიც უნდა გავაკონტროლოთ იმიტომ, რომ ბიზნესის ცნობილი კანონი ყველამ ვიცით: მინიმალური დანახარჯებით უნდა მიიღო მაქსიმალური მოგება. რადგან საქმე სახელმწიფო ბიუჯეტთან გვაქვს, ეს სფერო უფრო მკაცრ შემოწმებას საჭიროებს. ნაციონალური მოძრაობის დროს ტენდერის პირობების შეცვლა, გადავადება ან დაგვიანება ჩვეულებრივი ამბავი გახლდათ. ზოგიერთ კომპანიას 6-7 ტენდერი აქვს მოგებული და აქედან სამი, ან ოთხი გადავადებულია. ხან ერთ სამუშაოს ასრულებდნენ, ხან — მეორეს და ბოლოს ვერც ერთს ვეღარ ასწრებდნენ. ყველაზე სამწუხარო ისაა, რომ თავის დროზე ჩაბარებულ ტენდერებშიც უამრავი ხარვეზის აღმოჩენა შეიძლება“, — აცხადებს თემურ მაისურაძე.

ხათუნა ჩიგოგიძე

◎ ნაყიდი „განათლება“

კერძო სკოლების ნაწილი სწავლის საფასურს აძვირებს

„მომავალი სასწავლო წლიდან სწავლის საფასური ჯამში 300 ლარით, ზოგიერთში კი 500 ლარით გაიზრდება“

დოლარის კურსის ცვლილებამ კერძო სკოლებზეც იმოქმედა. კერძო სკოლების ნაწილმა ხელშეკრულების გადახედვა და სწავლის საფასურის გაძვირება გადაწყვიტა.

არსებული ინფორმაციით, ზოგიერთ კერძო სკოლაში მომავალი სასწავლო წლიდან სწავლის საფასური ჯამში 300 ლარით, ზოგიერთში კი 500 ლარით გაიზრდება. თუმცა, ეს ტენდენცია ყველა კერძო სკოლაში არ შეინიშნება. bpn.ge ამ თემით დაინტერესდა და რამდენიმე კერძო სკოლის ადმინისტრაციას დაუკავშირდა. „მარი ბროსეს“ ფრანგულ სკოლაში მშობლები შვილის განათლების სანაცვლოდ ყოველწლიურად 3000 ლარს იხდიან. მომავალი წლიდან კი სწავლის საფასური 500 ლარით გაუძვირდებათ. სკოლის ადმინისტრაციამ გადაწყვეტილება უკვე მიიღო და როგორც ჩვენთან საუბარში აცხადებენ, მიზეზი ლარის გაუფასურებაა.

„თუ სწავლის საფასურს არ გავზრდით, რამდენიმე პრობლემის წინაშე აღმოვჩნდებით — მასწავლებლები არსებულ ხელფასზე აღარ იმუშავებენ, გაგვიძვირდება კვება, გათბობა, ასევე სასკოლო პროცესის წარმართვის ხარჯები“, — ამბობს ვაჟა ცხოვრებაშვილი, „მარი ბროსეს ფრანგული სკოლის“ დირექტორი.

ლარის კურსის ცვლილების ვარდნამ სწავლის საფასურის გადახედვა აიძულა სკოლა-ლიცეუმ „მწიგნობართუხუცესსაც“. მართალია, ლიცეუმში გადაწყვეტილება საბოლოოდ ჯერ არ მიუღიათ, თუმცა, შესაძლო გაძვირებასთან დაკავშირებით სკოლის ადმინისტრაციამ მშობლებს უკვე აცნობა. სკოლაში ამჟამად 1 200 ბავშვი სწავლობს და ყოველწლიური გადასახადი 4000 ლარს შეადგენს. „თუ ლარის კურსი დოლართან მიმართებაში კვლავ მნიშვნელოვნად გამყარდება, სწავლის საფასურის გადასახადში ცვლილებებს არ შევიტანთ. მაგრამ თუ ლარი გაუფასურებას განაგრძობს, სწავლის საფასურის შეცვლა და წლიური გადასახადის 300 ლარით გაზრდა მოგვიწევს ან იმდენით, რამდენიც ინფლაციურ პროცესს დააბალანსებს“, — გვითხრეს „მწიგნობართუხუცესის“ ადმინისტრაციაში.

თუმცა, ლარის კურსის ვარდნის მიუხედავად, ზოგიერთი კერძო სკოლა სწავლის საფასურში ცვლილებების შეტანას არ გეგმავს. „წმ.ნიკოლოზის“ სახელობის სკოლაში აცხადებენ, რომ სწავლის საფასურის გაზრდას არ აპირებენ. გაძვირდება თუ არა სწავლა სხვა კერძო სკოლებში? — როგორც ზოგიერთი მათგანის ხელმძღვანელობამ გვითხრა, ეს ლარის კურსის სტაბილურობაზე იქნება დამოკიდებული.

თიკო გურაშვილი

◎ ინფორმაცია

სასკოლო წიგნებს ფასი არ მოემატება

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე სასკოლო წიგნებზე ფასების მატებას არ ელოდება. როგორც თამარ სანიკიძემ განაცხადა, წინასწარი მოკვლევით ფასები უნდა შენარჩუნდეს.

„დიდ სხვაობას არ ველოდებით, თუმცა, ბაზრის კვლევა ახლა დაწყებულია და ეს კვლევა გვიჩვენებს რა ტენდენციაა ბაზარზე. შესაძლებელია ოდნავი გაძვირება თვითონ საბეჭდი ქაღალდის მიმართებაში იყოს, მაგრამ არა მომსახურებაში, რომელიც საქართველოში ხორციელდება“, — განაცხადა თამარ სანიკიძემ და აღნიშნა, რომ წინასწარი მონაცემებით, დიდ ზრდას არ ელოდებიან.

ნაცმოძრაობაში უნდა ხვდებოდნენ, რომ აქციაზე მოვლენათა რადიკალური სცენარით განვითარება მათთვის არასასურველი იქნება

ასე მიიჩნევს დამოუკიდებელი ექსპერტი ზაალ ანჯაფარიძე, რომელიც ჩვენი დღევანდელი ნომრის სტუმარია

— ბატონო ზაალ, 21 მარტს თბილისში ნაცმოძრაობის საპროტესო აქციაა დაანონსებული. ფაქტია, რომ აქციის წინ პოლიტიკურ ასპარეზზე ვნებათაღელვის ტემპერატურამ საკმაოდ აიწია. ვხედავთ, ერთი მხრივ, ნაცმოძრაობის აქტიურობას და ხელისუფლების პასიურობასა და თავის მართლების რეჟიმში ყოფნას. თქვენ როგორ შეაფასებდით აქციის წინ ნაცმოძრაობისა და ხელისუფლების ქმედებებს?

— ჩემი აზრით, ხელისუფლების ქმედებები არის ისეთი, როგორიც უნდა იყოს. იგი გრძნობს პასუხისმგებლობას იმაზე, რომ ვალდებულია, უზრუნველყოს აქციის მშვიდობიანად ჩატარება, დაიცვას მონაწილეების უსაფრთხოება და აღკვეთოს ყველა ის არასასურველი ექსცესი, რაც შეიძლება მოხდეს.

აქციაზე შეიძლება მოხდეს ექსცესები, რასაც ადასტურებს აქციის გაცხადებული მიზანი — მთავრობის გადაყენება. ეს აქცია განსხვავდება ნაცმოძრაობის მიერ ორგანიზებული წინა აქციებისაგან. წინა აქციების მიზანი იყო კონკრეტულ პრობლემებზე საზოგადოების მობილიზება და ისინი შემოიფარგლებოდნენ ერთდღიანი მიტინგებით. ახლა კი, რადგან მიზანი მთავრობის გადაყენებაა, იგი ერთდღიანი აქციით ვერ მიიღწევა. სავარაუდოდ, ეს მიტინგი ერთი დღით არ შემოიფარგლება.

ნაცმოძრაობა ის პოლიტიკური ძალაა, რომელიც მიზნის მისაღწევად არაფერზე უკან არ იხევს, აქედან გამომდინარე, შეიძლება, მომზადებული ჰქონდეთ სხვადასხვა სცენარები პერმანენტული აქციების გასაგრძელებლად. არ გამოვრიცხავ იმასაც, რომ ნაციონალებს აქციის დესტრუქციული სცენარით გაგრძელების სცენარიც ჰქონდეთ. მე თითქმის დარწმუნებული ვარ იმაში, რომ მათ ქვეყნის ფარგლებს გარეთ უკვე მობილიზებული ჰყავთ თავიანთი მხარდამჭერები, ქვეყნის შიგნითაც — რადიკალური დაჯგუფებები. ასე რომ, ბევრი რამ დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენი ხალხი მივა აქციაზე და რამდენად მოტივირებული იქნებიან ისინი, ბოლომდე გაყვნენ ნაცმოძრაობას, თუკი ამ უკანასკნელებმა რადიკალურ, ძალისმიერ მეთოდებს მიმართეს.

ხელისუფლების მოქმედებაზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. მან უნდა შეძლოს აქციის მონაწილეების უსაფრთხოების უზრუნველყოფა იმ შემთხვევაშიც, თუ გარკვეულმა რადიკალურმა ჯგუფებმა მოინდომეს, ნაციონალების ძალადობრივ ქმედებებს ძალადობით უპასუხონ. აქ არის ერთი დიდი მაგრამ... მიუხედავად ხელისუფლების მიმართ გარკვეული იმედგაცრუებისა, საზოგადოების უმრავლესობისთვის ნაცმოძრაობა რჩება მიუღებელ პოლიტიკურ ძალად. თუ ეს აქცია გადავიდა ისეთ კალაპოტში, რომ გაჩნდა მორიგი რევოლუციის მცდელობა, დიდია ალბათობა, რომ საზოგადოების ეს ნაწილი გულხელდაკრეფილი სახლში არ დარჩება. ასეთ შემთხვევაში არ გამოვრიცხავ სერიოზულ ძალადობრივ დაპირისპირებასაც. ღმერთმა გვაშოროს მოვლენათა ამგვარი განვითარება, მაგრამ, თუ ასე მოხდა, შესაძლოა, ეს ნაცმოძრაობას ძალიან ძვირი დაუჯდეს. ჩემი აზრით, ნაცმოძრაობაში უნდა ხვდებოდნენ იმას, რომ მოვლენათა ამგვარი სცენარით განვითარება მათთვის არასასურველი უნდა იყოს. იქნებ მათში თვითგადარჩენის ინსტინქტმა მაინც იმუშაოს და არ გადადგან იმგვარი რადიკალური ნაბიჯები, მათვე რომ დააზარალებს.

— ოპოზიცია ხელისუფლებას წინასაარჩევნო დაპირებების შეუსრულებლობაში, უუნარობაში, არაკომპეტენტურობაში, ნეპოტიზმში ადანაშაულებს და ამბობს, რომ ადეკვატურად ვერ აფასებს იმ გამოწვევებს, რომლის წინაშეც დღეს ქვეყანა დგას. თქვენი აზრით, რამდენად სამართლიანია ოპოზიციის ბრალდებები ხელისუფლებისადმი და რამდენად ადეკვატურია ხელისუფლების ნაბიჯები იმისათვის, რომ ქვეყანამ დაძლიოს მის წინაშე არსებული გამოწვევები?

— გააჩნია, რომელ ოპოზიციაზე საუბრობთ. თუ საუბარი ნაცმოძრაობაზეა, მათი მიზნებიდან გამომდინარე, ისინი ცდილობენ, ყველაფერი ასმაგად და ათასმაგად გამუქებულ ფერებში წარმოაჩინონ. მაგრამ, არის სხვა ოპოზიციაც, რომელიც ვფიქრობ, რომ საკმაოდ ადეკვატურად აკრიტიკებს ხელისუფლებას იქ, სადაც ის გასაკრიტიკებელია. ბევრი მათი და, სხვათა შორის, ნაცმოძრაობის კრიტიკაც გარკვეულწილად სამართლიანია.

რაც შეეხება ხელისუფლების ნაბიჯებს. ვფიქრობ, რომ ხელისუფლებამ უფრო აქტიური ნაბიჯები უნდა გადადგას და მკაფიოდ დაანახოს საზოგადოებას, თუ რა კონკრეტულად რა ნაბიჯები იდგმება სიტუაციის გამოსასწორებლად. ჩემი აზრით, ამ თვალსაზრისით ხელისუფლების საინფორმაციო პოლიტიკა მოიკოჭლებს.

— ფაქტია, რომ, თუ საზოგადოებამ ვერ დაძლია საზოგადოებაში პოლიტიკურ საფუძველზე არსებული კონფრონტაცია, წარსულს არ ჩააბარა სიძულვილის ენა, ქვეყანას გაუჭირდება არა მარტო განვითარებაზე ფიქრი და ზრუნვა, არამედ წონასწორობის შენარჩუნებაც კი. თქვენი აზრით, რა უშლის ჩვენს საზოგადოებას ხელს იმაში, რომ პოლიტიკური პროცესები მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდეს? რა გამოდის — უახლოესმა წარსულმა ვერაფერიც ვერ გვასწავლა?

— როგორც ჩანს, ჩვენმა საზოგადოებამ და პოლიტიკურმა კლასმა უახლოესი წარსულიდან სრულყოფილად ვერ გამოიტანა ის გაკვეთილები, რომელნიც უნდა გამოეტანათ. მეორე მხრივ, ის მძიმე შლეიფი, რომელიც მოყვება ჩვენს საზოგადოებას (მე ამაში ვგულისხმობ არა მხოლოდ გასულ 9 წელიწადს, არამედ იმის წინაპერიოდსაც), პრობლემატიკა, რომელიც ამ ხნის განმავლობაში არის დაგროვილი, არ იქნა დაძლეული. სწორედ ეს არ აძლევს ჩვენს საზოგადოებას საშუალებას, რომ პოლიტიკური პროცესები მშვიდ კალაპოტში გადაიყვანოს. ამაზე ერთნაირად არიან პასუხისმგებელი როგორც საზოგადოება, ისე პოლიტიკური კლასი. ყველაფერ ამას კი, ის დაბალი პოლიტიკური კულტურა განაპირობებს, რომელიც ჯერჯერობით არის ჩვენს სახელმწიფოში და, რომელიც ჯერ ვერ ავიდა იმ დონეზე, რომელიც დამახასიათებელია წამყვანი ევროპული ქვეყნებისათვის, რომლებისკენაც ჩვენ მივისწრაფვით.

ეს რომ დაიძლიოს, ჩვენს ქვეყანაში უნდა ხორციელდებოდეს ისეთი პროექტები, რომლებიც სხვადასხვა ღირებულებებისა და მსოფლმხედველობის ადამიანებს ერთ მაგიდასთან დასვამდა და ქვეყნის განვითარებაზე დააფიქრებდა და ყველას პროცესში თანამონაწილეობის განცდას გაუჩენდა.

— ოპოზიცია ხელისუფლებას ქვეყანაში, ეკონომიკური პრობლემების არსებობის გარდა, საგარეო პოლიტიკის წარმოებაში დაშვებულ შეცდომებზე საუბრობს. კერძოდ — საერთაშორისო რადარებიდან საქართველო გამქრალია, საქართველოს პარტნიორები რუსეთთან მიმართებაში არ აქტიურობენ, რადგან ოფიციალური თბილისი თავად არ აქტიურობს, რომ უკრაინის საკითხებთან ერთად დასავლეთი კრემლს საქართველოზე ესაუბროს და ავლენს მოსკოვთან ერთი-ერთზე საუბრისადმი მიდრეკილებას. თქვენი აზრით, რამდენად სამართლიანია ოპოზიციის ეს ბრალდება ხელისუფლებისადმი?

— ბრალდება, რომ საქართველო საერთაშორისო ურთიერთობების რადარებიდან გამქრალია, არასამართლიანი შეფასებაა და სინამდვილეს არ შეესაბამება. თუმცა, უნდა ვთქვათ, რომ ის ვიზიტები, რომელიც საქართველოში ხორციელდება აშშ-დან და ევროპიდან, ყურადღება რასაც ისინი ჩვენს მიმართ იჩენენ, შესაძლოა, არა იმდენად საქართველოს ხელისუფლების დამსახურებაა, რამდენადაც ამ ქვეყნების ინტერესი ჩვენი ქვეყნისა და რეგიონის მიმართ. მათ არ სურთ იმ სიტუაციაში, რაც დღეს მსოფლიოშია, ვგულისხმობ რუსეთის ქმედებებს უკრაინაში, ყურადღების მიღმა იყოს დარჩენილი საქართველო. ასე რომ, საქართველო რადარებიდან გამქრალი არ არის.

მეორე საკითხია, ჩვენ როგორ გვინდა ჩანდეს საქართველო ამ რადარებზე? ვთქვათ, როგორც მუდმივი კონფლიქტების ქვეყანა, როგორც ეს წინა ხელისუფლების დროს იყო. მათ, პრაქტიკულად ხომ გაალღვეს გაყინული კონფლიქტები და ამით მოინდომეს დასავლეთის მოექცია ჩვენთვის ყურადღება. საქართველო რადარებზე უნდა ჩანდეს როგორც ინვესტიციებისთვის მიმზიდველი, მშვიდი და სტაბილური ქვეყანა. როგორც ჩანს, ამ მიზანსა და სტანდარტს ჯერ ვერ მივაღწიეთ. თუმცა, ამ მიმართულებით მცდელობები არის.

რაც შეეხება იმას, რომ, თუ რატომ არ აქტიურობს თბილისი, რომ საქართველოს საკითხი მიებას უკრაინის თემას. ვფიქრობ, რომ ერთია ჩვენი სურვილი, რომ ეს მოხდეს, ხოლო მეორე საკითხია ის, თუ რამდენად უნდა თავად დასავლეთს, საქართველოს თემა უკრაინის საკითხს მიებას.

> **მიუხედავად ხელისუფლების მიმართ გარკვეული იმედგაცრუებისა, საზოგადოების უმრავლესობისთვის ნაცმოძრაობა რჩება მიუღებელ პოლიტიკურ ძალად. თუ ეს აქცია გადავიდა ისეთ კალაპოტში, რომ გაჩნდა მორიგი რევოლუციის მცდელობა, დიდია ალბათობა, რომ საზოგადოების ეს ნაწილი გულხელდაკრეფილი სახლში არ დარჩება.**

დასავლეთს უკრაინის თემაზე ძალიან რთული მოლაპარაკებები აქვს რუსეთთან და იმ საკითხებსაც ვერ აგვარებს, რაც მისთვის ახლაა პრიორიტეტული, ანუ უკრაინის თემატიკა. ასეთ ვითარებაში ამ დიალოგს რომ კიდევ მიებას საქართველოს პრობლემატიკა, ვფიქრობ, რომ ეს მათთვის არაა მისაღები.

თუმცა, არ გამოვრიცხავ იმას, რომ საქართველოს დელეგაციებს ამ თემაზე კულუარულად ჰქონდეთ საუბარი ჩვენს დასავლელ პარტნიორებთან. შესაძლოა, მათ ჰქონდათ კიდეც ამის მცდელობა, მაგრამ რა პასუხი მიიღეს თავიანთი პარტნიორებიდან, ეს კიდევ საკითხავია. როგორც ჩანს, საქართველოს ხელისუფლება ერიდება რუსეთის გაღიზიანებას. რეალურად, ეს ფაქტორიც არსებობს. ამ ფაქტორების ერთობლიობა განაპირობებს იმას, რომ ჯერჯერობით ვერ მოხერხდა საქართველოს საკითხის მიბმა უკრაინის პრობლემატიკისადმი.

— ვიდრე ჩვენთან ხელისუფლება და ოპოზიცია ერთმანეთში ვერ გარკვეულან, რუსეთი პრაქტიკულად ასრულებს ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიების ანექსიას. კარგია, რომ ვაშინგტონი და ბრიუსელი ე.წ. ხელშეკრულებებს არ აღიარებს, მაგრამ რუსეთი თავისი საქმის კეთებას ამ რეგიონებში აგრძელებს. პუტინმა ფილმში „ყირიმი. გზა სამშობლოსაკენ“ პრაქტიკულად აღიარა, რომ ხელმძღვანელობდა ყირიმის ანექსიას, რომ კრემლი, იმ შემთხვევაში, თუ აშშ სამხედრო ოპერაციაში ჩაერეოდა, მზად იყო, ბირთვული იარაღი გამოეყენებინა. რჩება შთაბეჭდილება, რომ ახლა ბურთი დასავლეთის მხარესაა. თქვენი აზრით, რით უპასუხებენ ვაშინგტონი და ბრიუსელი პუტინის აღიარებებს?

— რთული სათქმელია, ისინი კონკრეტულად რით უპასუხებენ. ალბათ, იმით, რომ შესაძლოა, კიდევ უფრო გაამკაცრონ ეკონომიკური სანქციები და უფრო კონსოლიდირებულად იმოქმედონ. მაგრამ, როგორც ჩანს, მათ პოზიციაში ერთიანობა ვერ იქნა მიღწეული. ახლახან ევროკავშირმა დაიწყო „აღმოსავლეთ პარტნიორობის სამეზობლო პოლიტიკის“ შესახებ დოკუმენტის გადახედვა. კორექტირებულ და რუსეთისათვის შეთავაზებულ დოკუმენტში გაჩნდა ახალი მომენტები, რომლებიც მიანიშნებს იმაზე, რომ ევროპული ქვეყნების გარკვეული ნაწილი იხრება, დაითანხმონ რუსეთი გარკვეულ თანამშრომლობაზე. ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მოუწოდა ევროკავშირს, შეწყვიტოს უკრაინის, საქართველოსა და მოლდოვას სიმტკიცეზე გამოცდა. ევროპაში საკმაოდ არიან გავლენიანი პოლიტიკოსები, რომლებიც, ალბათ, ასევე ფიქრობენ. ასე რომ, ამ ეტაპზე მიჭირს კონკრეტულად ვარაუდის გამოთქმა, თუ როგორი შეიძლება იყოს ეს პასუხი მოსკოვის ქმედებებზე.

— ისევ საშინაო საკითხებს მინდა დავუბრუნდეთ. არ ცხრება პარლამენტარ თოფაძის მიერ ნატოსა და არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ განცხადებებზე მსჯელობა. თოფაძის განცხადებებმა — „ნატო არ არის „ქართული ოცნების“ პრიორიტეტი“ და „ძალიან ბევრმა ქვეყანამ შეზღუდა არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა და, ალბათ, ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ“, დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა განაცხადა, რომ პარლამენტარ თოფაძის შეხედულებები ნატოზე ამ ორგანიზაციასთან ქვეყნის ინტეგრირების პროცესზე არ აისახებაო, მაგრამ ამ თემაზე ოპოზიცია ხმაურს აგრძელებს. რამდენად დიდია ალბათობა, რომ ჩვენთან, ისევე როგორც რუსეთსა და რიგ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში, მოხდეს არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის სერიოზული შეზღუდვა?

— ჩემი პასუხი ასეთი იქნება — არა, ვინაიდან ეს პრაქტიკულად შეუძლებელია. ასე რომ მოხდეს, საქართველო პრაქტიკულად დაუსვამს ჯვარს თავის დასავლურ და ევროპულ ორიენტაციას. ეს გამორიცხულია. ასე რომ მოხდეს, ჩვენთან უნდა შეიცვალოს ხელისუფლება და მოვიდეს პრორუსული ხელისუფლება, რომელიც ამას გააკეთებს.

აბსოლუტურად ვეთანხმები პარლამენტის თავმჯდომარეს, რომელმაც განაცხადა, რომ ერთი ცალკეული დეპუტატის განცხადებები ვერ იმოქმედებს ქვეყნის ალიანსთან ინტეგრაციის პროცესზე. აქვე დავამატებდი — ბატონ თოფაძეს უფრო მეტი წინდახედულება მართებდა, როცა არსებულ სიტუაციაში ამგვარ განცხადებას აკეთებდა. მან არ შეიძლება არ იცოდეს, თუ როგორი ზიანი მოაქავს ასეთი ტიპის განცხადებებს იმ კოალიციისთვის, რომელსაც ის წარმოადგენს.

— ხმაური მოჰყვა მსჯელობას თემაზე პარლამენტსა და თვითმმართველობით ორგანოებში მაჟორიტარული სისტემის გაუქმებაზე. ყველა თანხმდება, რომ მაჟორიტარული სისტემის არსებობის გამო ფერხდებოდა საქართველოში სრულფასოვანი პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბება. ამ საკითხისადმი თქვენი დამოკიდებულება როგორია.

— ამ საკითხზე ჩემი შეხედულება ცოტა განსხვავებულია იმ დამოკიდებულებებისგან, რომელიც ჩვენი ქვეყანის როგორც პოლიტიკურ წრეებში, ისე არასამთავრობო სექტორშია გაბატონებული. ჩემი აზრით, მარტო მაჟორიტარული სისტემა არ გახლავთ ქვეყანაში არასრულფასოვანი პარტიების არარსებობის მიზეზი. ამგვარი მიდგომა საკითხის პრიმიტივიზაციას უფრო ჰგავს, ვინაიდან სრულფასოვანი პარტიების არარსებობის უამრავი სხვა მიზეზებიც არის. ამგვარად საქმის წარმოჩენა იმ პარტიებიდან მოდის, ვისაც სურს, რომ პარტიულ სიებს ამოფარებული ბევრი პარლამენტარი ჰყავდეს. ახლანდელი და წინა მოწვევის პარლამენტართა იმ პირებს თუ გადავხედავთ, რომლებიც პარტიული სიით არიან გადეპუტატებული, გაეცნობით მათ ბიოგრაფიებს და პერსონალურ მონაცემებს, ნახავთ, რომ მათი უმრავლესობა პარლამენტარობას არ იმსახურებს.

— სხვათა შორის, მაჟორიტარ დეპუტატებშიც საკმაოდ ბევრია, ვინც დეპუტატობას არ იმსახურებს...

— შესაძლოა, მაჟორიტარულ სისტემას ბევრი ნაკლი ჰქონდეს, მაგრამ მაჟორიტარი დეპუტატის არჩევისას რეალურად არსებობს კონკურენცია კანდიდატებს შორის. იმის თქმა მინდა, რომ ამომრჩეველთ მათთან კომუნიკაციის საშუალება აქვთ და იციან, ვის აძლევენ ან არ აძლევენ ხმას. პირადად ჩემთვის იდეალურია ამერიკული საარჩევნო სისტემა. საქართველოს მსგავს პატარა ქვეყანას არ სჭირდება ამდენი პარტია. პარტიების ფორმირების პროცესი საზოგადოების წიაღიდან უნდა მოდიოდეს და არა ისე, როგორც ჩვენთან ხდება. ასე რომ, მე წინააღმდეგი ვარ იმის, რომ მაჟორიტარული სისტემა გაუქმდეს.

კობა გენდელიანი

ჩვენ ამგვარ ფსევდოსტრუქტურას კი არა, სპეციალიზებულ პროკურატურას ვითხოვდით

რა იგულისხმება ყოფილი მთავარი პროკურორის გია მეფარიშვილის ამ განცხადებაში?

ირაკლი ნადარეიშვილის ხელმძღვანელობით 4 პროკურორის, 10 გამომძიებლის და 4 კოორდინატორისგან შემდგარი სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების ახალი დეპარტამენტის საქმიანობის შესახებ კითხვები უკვე არსებობს. სწორედ ამიტომ „თავისუფალი დემოკრატები“ პარლამენტში მთავარი პროკურორის მისვლას მოითხოვენ.

მთავარი პროკურორის გიორგი ბადაშვილის განცხადებით, დეპარტამენტი იქნება სწრაფი და ეფექტური მექანიზმი, რომელიც ორიენტირებული იქნება სამართალწარმოების მიმდინარეობისას და სასჯელის მოხდის პერიოდში ჩადენილი დანაშაულის გამოძიებაზე. მთავარი პროკურორი ირწმუნება, რომ პროკურატურაში გაწეული მუშაობის შედეგად, მთელი ქვეყნის მასშტაბით, 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2015 წლის 1 იანვრამდე შემოტანილი განცხადებების შესწავლა და სისტემატიზაცია უკვე დასრულდა და დაწყებულია სისხლის სამართლის საქმეების გადაცემა ახალი დეპარტამენტისთვის. მიუხედავად ამ განცხადებისა, პროკურატურიდან ამ დრომდე არ გაკეთებულა განცხადება, რომელ საქმეზე დაიწყო მუშაობა ახალმა დეპარტამენტმა. არაოფიციალურად კი ვრცელდება ინფორმაცია, რომ ახალ დეპარტამენტს საქმიანობა ჯერ არც დაუწყია.

ყოფილი მთავარი პროკურორი **გია მეფარიშვილი** for.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ უწყების მთავარი დეფექტი, ეს არის გაუმჭვირვალეობის პროცესი.

— 22 ათაზე მეტი საქმეა შესული პროკურატურაში, ყველა ეს საქმე შესწავლილი და გაანალიზებულია? ახლა გამოდიან და ამბობენ, რომ საჩივრები და განცხადებები, რომლებიც შესულია პროკურატურაში, იქნება დაჯგუფებული და პროკურატურა შეისწავლის, რამდენად კანონირად იყო შეძენილი ქონება, ხოლო მისი ჩამორთმევის კანონიერების საკითხი, მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესწავლილიო. ეს აშკარად არის სამოქალაქო კანონმდებლობაში ჩაუხედაობა — არავის არ ევალება საკუთარი ქონების წარმომავლობის დადასტურება, გარდა საჯარო მოსამსახურისა. პროკურატურა საერთო ზედამხედველობის ფუნქციას იღებს, თუ რა ხდება? მაშინ, ძალიან ცუდად ყოფილა ჩვენი საქმე.

— გარდა ამისა, ჩნდება კითხვა, ვინ არის კოორდინატორი, რა უფლებამოსილებით არის აღჭურვილი და როგორი არის მისი სამართლებლივი სტატუსი?

— აბსოლუტურად გაუგებარია, რა ფუნქციას ატარებს კოორდინატორი, თუ ეს ახალი საპროცესო ფიგურაა, მაშინ დავღუპულვართ და ეგ არის - საპროცესო კანონმდებლობა ასეთ ფიგურას არ იცნობს. კანონი პროკურატურის შესახებ გასაზღვრავს პერსონალიებს და ერთ-ერთი გახლავთ „მრჩეველი“. როგორც ჩანს, მიიღეს ასეთი გადაწყვეტილება, რომ ადამიანი, რომელიც მოაწესრიგებს ურთიერთობებს დაზარალებულებთან და საგამოძიებო ორგანოებთან, უნდა იყოს კონკრეტული ფიგურა და შექმნეს „კოორდინატორი“, ანუ იგივე მრჩეველი. თუმცა, ეს არის სრული აბსურდი, აბსოლუტურად გაუგებარი, ლოგიკური წინააღმდეგობებით აღსავსე. საქმე ისაა, რომ მრჩეველი არ შეიძლება იყოს საპროცესო უფლებამოსილების მქონე კონკრეტული პირი და ეს წერია კანონში.

თუ კონკრეტული პიროვნება ურთიერთობებს აწესრიგებს დაზარალებულთან და პროკურატურის ორგანოებთან, მაშინ დგება საკითხი, რა საჭირო იყო სპეციალიზებული დეპარტამენტის შექმნა? მე მრჩება შთაბეჭდილება, რომ ეს არის ნაადრევად, ნაჩქარევად მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც არაფერ დადებითს ჩვენს ხალხს არ მისცემს.

— რაც შეეხება ჩამორთმეულ ქონებებს, რომელთა უდიდესი ნაწილი გადაფორმებულია მეორე-მესამე პირზე, ამ შემთხვევაში როგორ უნდა განისაზღვროს, რამდენად კეთილსინდისიერია ის მეორე და მესამე პირი?

— მეტიც, დოკუმენტაცია გატანილია ოფშორულ ზონებში, რომლებზეც ხელმისაწვდომობის საშუალება ქართველ სამართალდამცავებს, პრაქტიკულად, არა აქვთ. რაც ყველაზე მთავარია, კეთილსინდისიერი მყიდველის შემთხვევაში, დიდი დარტყმის ქვეშ აღმოჩნდება სახელმწიფო ბიუჯეტი. ამიტომაც, არჩევნების დასრულების შემდეგ, სასწრაფოდ უნდა დამდგარიყო ეს საკითხი დღის წესრიგში. ორ წელიწადზე მეტი გავიდა და არაფერი ამ მიმართულებით არ გაკეთებულა. უფრო მეტიც, ეს საკითხი ძალიან გამწვავდა. პირდაპირ გეტყვით, თუ ამ ხელისუფლებამ უკანონოდ ჩამორთმეული ქონების საკითხი ვერ გადაწყვიტა, ეს იქნება მისი სერიოზული ხარვეზი, რაზეც ქართველი ამომრჩეველი პასუხს საპარლამენტო არჩევნებზე მოითხოვს.

რაც შეეხება სპეციალიზებული სტრუქტურის შექმნას, ჯერჯერობით, არ მომზადებულა საკანონმდებლო ცვლილებები, შესაბამისად, უცნობია, რა ბედია ეწევა უკვე კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას. ამ საკითხზე საუბარი საერთოდ არ არის, რაც ძალიან დაამძიმებს მდგომარეობას. თუ სასწრაფოდ კორექტირება არ იქნება გაკეთებული, ეს იდეა სამართლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით ჩაიხშობა.

მინდა შევახსენო პროკურატურის წარმომადგენლებს, რომ მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით შემოსული განცხადება უკვე დანაშაულის გამოძიების დაწყების საფუძველია. ამხელა ზღვა მასალას გაუძლებს კი 10-კაციანი ჯგუფი? ჩემთვის ეს არის წარმოუდგენელი. რა ბედი ელის იმ განაჩენებს, რომლებიც უკვე, კანონიერ ძალაშია შესული? ახლა დგება საკითხი, რომელ საქმეებზე გავრცელდება მათი იურისდიქცია. ეს სტრუქტურა წინასწარ განწირულია დამარცხებისთვის, რაც არ მინდა, მოხდეს. მეშინია, რომ ჩვენ მივდივართ იმედგაცრუებისკენ.

— თქვენ ამბობთ, რომ ეს არის წინასწარ განწირული იდეა. რას სთავაზობდით თქვენ?

— ჩვენ ვთავაზობდით არა ასეთ ფსევდოსტრუქტურის შექმნას, არამედ სპეციალიზებულ პროკურატურას, რომელსაც მოუწევდა ორი მიმართულებით მუშაობა — კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით საჩივრების მომზადება და მეორე — გამოძიების ჩატარება ქონების უკანონოდ წართმევის საქმეზე. ერთიც და მეორეც უნდა ყოფილიყო ერთი სამართლებლივი პოლიტიკის განმსაზღვრელი სტრუქტურის, ანუ სპეციალიზებული პროკურატურის ხელში. სპეციალიზებული დეპარტამენტი და სპეციალიზებული პროკურატურა ერთი და იგივე არ არის.

ამ დრომდე პასუხი არაა გაცემული მთავარ კითხვაზე — რა ელის კანონიერ ძალაში შესულ განაჩენებს? ამას პროკურატურის სპეციალიზებული დეპარტამენტი ვერ მიხედავს, იმიტომ, რომ საკამათო განაჩენია. თუ უნდოდათ ამ საკითხის გადაწყვეტა, მაშინ ცვლილებები უნდა შეეტანათ სისხლის სამართლის კოდექსში იმიტომ, რომ ქონებების უდიდესი ნაწილი ჩამორთმეულია განაჩენებით. უმეტესობა საპროცესო შეთანხმებებით არის გაკეთებული, ამაზე იფიქრა ვინმემ?

— სასამართლო განაჩენს სპეციალიზებული პროკურატურის დეპარტამენტი ვერ შეცვლის?

— სასამართლო განაჩენს პროკურატურა ვერ შეცვლის. როგორც მხარემ რომ გაასაჩივროს, ამას სჭირდება შესაბამისი პროცედურა და ეს უნდა ყოფილიყო საპროცესო კანონმდებლობაში გადაწყვეტილი, რაც არაა გაკეთებული. ვხედავ, რომ შევედით ჩიხში. დღეს თუ ხვალ ამ საკითხზე პასუხის გაცემა მოუწევთ მათ, ვინც ასეთი გადაწყვეტილება მიიღო.

თამთა ძარჩავა

◎ გლობალიზაციის ბედნიერი მონები

აპირებს ქართველი ხალხი ნაცურ გეენიაში დაბრუნებას?

ჩვენი ერისთვის დამახასიათებელი ფრიად მნიშვნელოვანი თვისების შესახებ შევიტყვე ერთი ახლობელი კაცის ნაამბობიდან; უფრო სწორად, ასე გონებამახვილურად ფორმულირებული აზრი პირველად მოვისმინე და მკითხველამდე მისი მიტანის სურვილიც ამიტომ გამიჩნდა. ვინმე უცხოელს ჩვენი თანამემამულეებისთვის უკითხავს, თუ იცით, თქვენი მთავარი ნაკლი რა არისო — იგი არც ერთის პასუხს არ დაუკმაყოფილებია და უთქვამს: ქართველებს სამშობლოს დაკარგვის შიში არა გაქვთო!

ჩემი აზრით, ზუსტი შეფასებაა, მაგრამ მეეჭვება, რომ ამ შესანიშნავ მცოდნეს ჩვენი ბუნებისა შესძლებოდა პარადოქსული რეალობის ახსნა: მიუხედავად აღნიშნული შიშის არქონისა, ქართველმა ერმა დღევანდლამდე როგორ მოაღწია ამ ვაგლახ წუთისოფელში? — თუმცა, შესაძლოა ჩემი ეჭვი უსაფუძვლოც იყოს და პატივცემულმა უცხოელმა, როგორც თავისი სტრატეგიის შემუშავების ან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით ქართული ხასიათის ზედმიწევნით შემსწავლელმა, ჩვენი გადამრჩენელი სამი წმინდა საუნჯის მნიშვნელობაც კარგად იცოდეს და იმის ხელოვნებასაც ფლობდეს, როგორ შეიძლება მათი ამოშლა ეროვნული ცნობიერებიდან.

ვფიქრობ, მკითხველს არ გაუკვირდება, რომ საქართველოში შემოსული ერთი უცხოელი განვაზოგადე და იმ თვისებებით აღვჭურე, რომელთაც ისინი ქართული ბაზრის ასათვისებლად და ქართველ საზოგადოებაში საკუთარი იდეების დასანერგად იყენებენ. უკვე არავისთვის დაფარული არ არის, რომ დღეს თითქმის ყველა საერთაშორისო ურთიერთობის საგანს ბიზნესპარტნიორობა, ანუ პირადი გამდიდრების წყაროს მოძიება წარმოადგენს.

ბიზნესისადმი ლტოლვა იმდენად დაუოკებელი გახდა, რომ იგი ამქვეყნიური ტკბობისთვის კაცობრივი ცნობიერებისა და მსოფლმხედველობის დამონებასაც კი ცდილობს. ბიზნესი თავის გაკვალულ გზაზე ქმნის შესაბამის ინფრასტრუქტურას, რომელიც საუკუნოვან კულტურას, სულიერ ღირებულებებსა და ადამიანურ ურთიერთობებს უმოწყალოდ იწირავს. მისი ინტენსიურობა იმდენად სწრაფად იზრდება, რომ, ალბათ, ამ ცოდვიან დედამიწას ეკოლოგიური კატასტროფის დადგომამდე მოუღებს ბოლოს!

დღეს გამეფებული ბიზნესის არსენალი უზარმაზარია. მიუხედავად იმისა, რომ მას უკვე სახელმწიფოებრივი საზღვრების დადგენა, კანონმდებლობათა შეცვლა და გლობალური ეკონომიკური კრიზისის გამოწვევაც კი შეუძლია, მის მთავარ სამიზნეს მაინც **სულიერი ღირებულებები წარმოადგენს, რადგან ბიზნეს-მონსტრი ძირითადად ადამიანთა ქვენა გრძნობებით საზრდოობს და, ბუნებრივია, სინდისი, პატიოსნება და სარწმუნოება მის დაუკმაყოფილებელ მოთხოვნილებებს ეწინააღმდეგება. მეთოდები, რომელსაც ბიზნესი მსოფლიო ბატონობის მოსაპოვებლად იყენებს, შემზარავია. გენმოდიფიცირებული პროდუქცია, ნარკომანია, ალკოჰოლიზმი, პროსტიტუცია, აზარტული თამაშები, ხელოვნური განაყოფიერება, ტრანსგენდერული ოპერაციები, ფერადი რევოლუციები — არასრული ჩამონათვალია ბიზნესის სამეწარმეო სფეროებისა, რომლითაც იგი თავის იმპერიას ასაზრდოებს.**

ამ იმპერიის მმართველმა გუნდმა, რომლის შემადგენლობა არცთუ ისე დიდია, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პოლიტიკურ ტერმინოლოგიაში შემოიტანა ახალი ცნება — გლობალიზაცია. იგი არ უნდა აგვერიოს ინტეგრაციის ბუნებრივ პროცესთან, რომელიც ეკონომიკის, ინფორმატიკის ან მეცნიერების რომელიმე დარგის განვითარების მიზნით შეიძლება იქნეს წარმოქმნილი.

იხ. 9 გვ.

◎ ალიან-ჩალიანი

„ბავშვი იარაღი არაა“

ფოთის **საჯარო სკოლებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტი ინსპექტირებას ატარებს. სამინისტროს წარმომადგენლები უკვე იმყოფებოდნენ ქალაქის რამდენიმე სკოლაში. ეს ფაქტი ფოთის მე-5 საჯარო სკოლის დირექტორმა კობა სამურკასოვმა დაადასტურა, მას სამინისტროს წარმომადგენლებმა კითხვები დაუსვეს.**

კონკრეტულად რა შეკითხვები ჰქონდათ მასთან სამინისტროს შიდა აუდიტის წარმომადგენლებს, დეტალებზე დირექტორმა საუბარი არ ისურვა.

ამასთან, ფოთის საჯარო სკოლების წინ „ბავშვი იარაღი არაა„- ამ შინაარსის წარწერებიც გამოჩნდა.მათი ავტორი უცნობია. ქალაქის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი სატელეფონო ზარებს არ პასუხობს.

როგორც ცნობილია, ფოთში არასამთავრობო ორგანიზაცია „ყველა თაობა საქართველოსთვის“ ინიციატივით ფილმის „სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის 9 წელი“ ჩვენება მოეწყო. არასრულწლოვნები ამბობდნენ, რომ ისინი შეხვედრაზე მოტყუებით მიიყვანეს. კერძოდ, მათ სკოლიდან ჰქონდათ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ქალაქის ახალი პროექტების პრეზენტაციას უნდა დასწრებოდნენ, თუმცა ადგილზე მისულებს სულ სხვა სურათი დახვდათ. მოზარდები ამბობდნენ, რომ კადრები, რომელიც მათ ნახეს მძიმე და ემოციური იყო.

ინტერპრესი

SIC!

ნაციონალები უკეთესად ცხოვრობენ, ვიდრე პატიმრები

ციხეში მყოფი მსჯავრდებულების შენახვა სახელმწიფოს პირდაპირი მოვალეობაა. იურისტებისა და ექსპერტების თქმით, ქართული ციხე მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე იაფია. თუმცა, მათივე განცხადებით, ჩვენი რეალობის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ პატიმრისთვის დღიურად გამოყოფილი თანხა არცთუ ისე მცირეა.

ცხადია, ჩვენი შეჭირვებული მოსახლეობისთვის პატიმრის შენახვა იოლი სულაც არ არის. კვებაზე რომ არაფერი ვთქვათ, ტანსაცმელი, თეთრეული და სხვა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საშუალო სტატისტიკურ ოჯახს ყოველთვიურად ერთი პატიმრის შენახვა სულ მცირე 50-100 ლარი უჯდება. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რამდენია ოჯახის საშუალო შემოსავალი და სოციალური შემწეობა, ადვილი მისახვედრია, რა მძიმე ტვირთად აწვება პატიმრის შენახვა ოჯახის ბიუჯეტს.

რა უჯდება სახელმწიფოს ერთი პატიმრის შენახვა?

სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროსგან ჩვენ მიერ გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის მიხედვით, მიმდინარე წელს სამინისტროს ბიუჯეტიდან **ერთი პატიმრის შესანახად დღიურად 31 ლარი და 28 თეთრია გამოყოფილი. რაც მცირედით ნაკლებია წინა წლის დღიურ ხარჯთან შედარებით. 2014 წლის ბიუჯეტიდან ერთი პატიმრის შენახვის დღიური ხარჯი — 33,69 ლარი იყო. ამ თანხაში შედის კვების რაციონი, რბილი ინვენტარი, სამედიცინო მომსახურება და სხვა. სამინისტროს ინფორმაციით, 2014 წლის შესრულებამ შეადგინა 124 349 ლარი — 10 115 პატიმარზე, ხოლო 2015 წლის ბიუჯეტი - 125 595 000 ლარი გათვლილია 11 000 პატიმარზე. „ამ უმნიშვნელო სხვაობის მიუხედავად, ბრალდებულ-მსჯავრდებულთა ყოფითი (კვების რაციონი, რბილი ინვენტარი და ა.შ.) და საცხოვრებელი პირობები უცვლელია,** — ნათქვამია სამინისტროს წერილში.



იურისტ ციალა რატიანის თქმით, სხვა ქვეყნებთან შედარებით, ეს დაფინანსება მეტად მცირეა. **„რა თქმა უნდა, სხვა ქვეყნებთან შედარებით ეს თანხა მეტად მცირეა. თუმცა, საქართველოს რეალობას თვალს თუ გავუსწორებთ, მაშინ ეს არცთუ ისე მცირეა. თვეში გამოდის 900 ლარზე მეტი. ამ თანხას თუ შევადარებთ იმ სოციალურ დახმარებას, რომელსაც სოციალურად დაუცველი ადამიანები იღებენ, მაშინ ერთ პატიმარზე გამოყოფილი თანხა (31, 28 ლარი) საკმაოდ შთამბეჭდავადაც ჟღერს. არსებობს უამრავი ოჯახი, სადაც 2-3 წევრის საერთო საშუალო თვიური შემოსავალი სწორედ 900 ლარია. ამ შემთხვევაში ეს დაფინანსება ისევ ჩვენს, ანუ საზოგადოების ხარჯზე გადადის. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბოლო 2 წლის განმავლობაში პატიმართა რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა, ეს თანხა მისაღებად შეიძლება ჩავთვალოთ. მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ არაადეკვატურად მაღალ თანხობრივ შეფასებამდე მივდივართ. თუმცა, აქ გასათვალისწინებელია ის უსაფრთხოება და დამატებითი გარანტიები, რომელსაც საზოგადოება ამ თანხის სანაცვლოდ იღებს. გარკვეულმა პიროვნებამ დანაშაული ჩაიდინა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოათავსეს. შესაბამისად, საზოგადოების უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ეს ხარჯი გამართლებული უნდა იყოს. ფაქტობრივად, ჩვენ შეფასებით კატეგორიამდე მივდივართ. მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღიური დანახარჯი გადამრავლებული ერთ თვეზე, თითქოს მაღალია, მიმაჩნია, რომ ეს გადასახადი საზოგადოების ინტერესებისა და უსაფრთხოების დაცვის კუთხით გამართლებულია“,** — ამბობს ციალა რატიანი.

ადვოკატს სხვა ქვეყნების მაგალითიც მოჰყავს, სადაც პატიმრის შესანახად გამოყოფილი თანხები განსხვავებულია, თუმცა, საქართველოსთან შედარებით გაცილებით მაღალია. ციალა რატიანის თქმით, ამერიკაში ერთი პატიმრის შესანახად დღიურად 100 დოლარზე მეტია გამოყოფილი. **„თუმცა, აღნიშნულ ქვეყანას შემოსავალიც გაცილებით მაღალი აქვს. თუ ჩვენ პროპორციულად გავყოფთ, დაახლოებით თანაბარ ციფრს მივიღებთ თითოეული ადამიანის შემოსავალსა და პატიმარზე დახარჯულ თანხას შორის. ქართული ციხის შემთხვევაში, პატიმრისთვის გამოყოფილ დღიურ დანახარჯს ერთი პიროვნების საშუალო შემოსავალზე თუ გავამრავლებთ, რა თქმა უნდა, იაფი ციხე სულაც არ გამოდის. განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც ციხეებში გადატვირთულობის პრობლემა აღარ დგას. სასამართლო ცდილობს ნაკლებად მძიმე დანაშაულზე პიროვნებას აღმკვეთი ღონისძიება არ შეუფარდოს და იქით მოხდეს გადაფარვა, სახელმწიფო მაქსიმალურად ცდილობს თანხების დაზოგვას. ამდენად, ქართული ციხე მსოფლიოში ერთ-ერთი იაფია, მაგრამ საქართველო არის ქვეყანა, სადაც ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი ძალიან მცირეა“,** — აღნიშნავს ციალა რატიანი.

რიმა გ-ს ვაჟიშვილი გეგუთის კოლონიაში იხდის სასჯელს. პატიმარს დედა და ავადმყოფი და ჰყავს. ოჯახი სოციალურად დაუცველია, მათი შემოსავალი მხოლოდ სოციალური შემწეობაა. ოჯახის სარჩენად დედა იტალიაში გაემგზავრა. უკვე წლებია, რაც იქ მუშაობს. **„5 წელზე მეტია, რაც საქართველოდან გადავიხვეწე. ოჯახს შემოსავალი არ ჰქონდა, ჩემი შვილი ყაჩაღობისთვის დაიჭირეს. მოგეხსენებათ, ჩვენისთანა გაჭირვებული ოჯახებისთვის პატიმრის შენახვა რა ძნელია. საქართველოში ყოველთვე ჩემს ოჯახს 100 ევროს ვუგზავნი, შესაბამისად, ჩემს პატიმარ შვილს ყოველთვე 100 ლარს ვურიცხავთ. ახლა ძალიან გამიჭირდა და გუშინ 20 ლარზე მეტი ვერ ჩავურიცხე. ჩემი შვილის მრცხვენოდა. ციხეში სიგარეტი უნდა, ტანსაცმელს, თეთრეულს ჩვენ ვუგზავნით. საერთო ჯამში, საკმაოდ დიდი თანხა გამოდის. მადლობა ღმერთს, რომ რამდენიმე თვეში გაანთავისუფლებენ და ამოვისუნთქავთ. უკვე 8 წელია, რაც ციხეშია“,** — გვითხრა ჩვენმა რესპოდენტმა.

სალომე გოგოხია

რა ღირს სიკვდილი?



კერძო სასაფლაოებზე საფლავის ფასები 1 500-2 500 დოლარის ფარგლებში მერყეობს

მიცვალებულის გაპატიოსნება და დაკრძალვა ბევრი ოჯახისთვის მძიმე ფინანსური დარტყმაც არის. **მიცვალებულის შემოსვა, სასახლე, ბალზამირება ან მაცივარი, კატაფალკი და დაკრძალვის ხარჯი, რომ აღარაფერი ვთქვათ ქართული ტრადიციისთვის დამახასიათებელ ქელეხზე, რომელიც ხშირად მინიმუმ 200 კაცზეა გათვლილი, ოჯახის ბიუჯეტზე მწვავედ აისახება. როგორც bpn.ge-თვის გახდა ცნობილი, დედაქალაქის მასშტაბით სულ 31 საქალაქო სასაფლაოა და ყველა თბილისის მერიაში დაფუძნებული შპს „ჰერმესის“ დაქვემდებარებაშია. საქალაქო სასაფლაოების გარდა, დედაქალაქის ტერიტორიაზე არსებობს კერძო სასაფლაოებიც. რაც შეეხება საფლავის მიწას, საქალაქო სასაფლაოების ტერიტორიის თავისუფალი რესურსი დაყოფილია 5 ზონად. სასაფლაოებზე, სადაც არ არის დამტკიცებული სასაფლაოს ან მისი ნაწილის ზონირება, ერთ და ორადგილიანი ახალი საფლავების გამოყოფა უფასოა. რაც შეეხება ფასიან საფლავებს, საბურთალოს საქალაქო სასაფლაოს პირველ ზონაში, ერთადგილიანი საფლავის გამოყოფის ფასი 800 ლარია, ორადგილიანის — 1 600, ხოლო ყოველი მესამე და შემდეგი ადგილისთვის ჭირისუფალს 700 ლარის დამატება მოუწევს.**

ვარკეთილის საქალაქო სასაფლაოზე პირველ ზონაში ერთადგილიანი სასაფლაოს ღირებულება 50 ლარს შეადგენს, ორადგილიანის — 100 ლარს, ხოლო ყოველ მესამე და შემდეგი ადგილის დასამატებლად, აქაც 700 ლარის დამატებაა საჭირო. მე-5 ზონის წესების გათვალისწინებით, ამ სასაფლაოზეც ერთი და ორადგილიანი ახალი საფლავების გამოყოფა უფასოა. თბილისი სწრაფად მზარდი ქალაქია. შესაბამისად, გადატვირთული სასაფლაოების პრობლემა დღის წესრიგში უკვე დგას. შპს „ჰერმესის“ მართვაში არსებული 31 სასაფლაოდან უმრავლესობაზე ახალი საფლავებისათვის გამოსაყოფი თავისუფალი მიწის რესურსი უკვე ამოიწურა. რიგ სასაფლაოებს დახურულის სტატუსი აქვთ მინიჭებული, სადაც ახალი საფლავის გაცემა აკრძალულია. ასეთ სასაფლაოებზე დაკრძალვები საგვარეულო საფლავებში არსებულ თავისუფალ სამარეში ან/და ადრე გარდაცვლილი ნათესავის ნეშტზე ზემოდან მიმდინარეობს. რაც მხოლოდ ოჯახის მოთხოვნის საფუძველზე ხდება. მერიის ინფორმაციით, აღნიშნული პრობლემიდან გამომდინარე, შპს „ჰერმესი“ ჯიქიას ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე ახალი საქალაქო სასაფლაოს მოწყობას გეგმავს. **„2015 წელს გაფართოვდა ღრმაღელეს (თბილისის ზღვის მიმდებარედ) სასაფლაო და მოქმედ სასაფლაოს დაემატა დაახლოებით 3,5 ჰექტარი თავისუფალი მიწის ნაკვეთი, სადაც მალე დაიწყება ახალი საფლავების გაცემა“,** — გვითხრეს მერიაში.

სხვა საკითხებთან ერთად ჭირისუფალს აინტერესებს, მოუწევს თუ არა მიწის (ქონების) გადასახადის გადახდა საფლავის მიწის ყიდვის შემდეგ. დედაქალაქის მერიის ცნობით, საქალაქო სასაფლაოებზე ახალი საფლავის გამოყოფა და დაკრძალვა ნიშნავს ჭირისუფლისთვის/ოჯახის წევრებისთვის საფლავის მფლობელობაში გადაცემას იმ ვადით, რა ვადაშიც მიცვალებული იქნება დაკრძალული კონკრეტულ საფლავში, თუ გადასვენების შემთხვევაში საფლავი გათავისუფლდა, მფლობელობის უფლებაც ავტომატურად იკარგება. **„საფლავის მფლობელობის უფლებით გაცემა არ ნიშნავს საფლავის მიწის ნაკვეთის გაყიდვას/საკუთრების უფლების გადაცემას. აღნიშნულ მიწაზე საკუთრების უფლება მუნიციპალიტეტს რჩება. აქედან გამომდინარე, მომხმარებელი მასზე მფლობელობაში გადაცემული მიწისთვის დამატებით არანაირ გადასახდს მომდევნო პერიოდში არ იხდის. გარდა უკვე გამოყოფილ საფლავში დაკრძალვის მომსახურების (მიწის გათხრა) გადასახადისა. ამასთან, ახალი საფლავის გამოყოფის საფასურის გადახდა ერთჯერადია“,** — აცხადებენ მერიაში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქალაქოს გარდა, თბილისში კერძო სასაფლაოებიც ფუნქციონირებს. bpn.ge-ის მოკვლევამ აჩვენა, რომ საფლავის ფასები ამ შემთხვევაში 1 500-2 500 დოლარის ფარგლებში მერყეობს. შესაბამისად, თუ ბოლო პერიოდში ლარის გაუფასურებასა და დოლარის კურსის ზრდას გავითვალისწინებთ, კერძო საფლავზე ფასები საკმაოდ გაძვირდა.

ბოლო წლებში ასევე მომრავლდა სარიტუალო მომსახურების კომპანიები, რომელთაც მიცვალებულის გაპატიოსნებასა და დაკრძალვაზე ზრუნვა ოჯახის ნაცვლად იკისრეს. შესაბამისად, ჭირისუფალი ყოველ დეტალს კომპანიასთან ათანხმებს ან სრულიად მას ანდობს დაკრძალვასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებას. ცხადია, ეს მომსახურება საკმაოდ ძვირიც ღირს. თუმცა, კომპანიებმა ამაზეც იზრუნეს და ბაზარზე ახალი მომსახურება — დაკრძალვა განვადებით გამოჩნდა. მაღალი კონკურენციის მიუხედავად, კლიენტების სიმცირეს კომპანიები არ უჩივიან. ფასები თითქმის ყველას ერთნაირი აქვს — ჩასასვენებლის ფასი 220-დან 5 000 ლარამდე მერყეობს, კატაფალკი 70-დან 200 ლარამდე, ბალზამირება ჩაცმასთან ერთად 70 ლარი ღირს, მაცივარი 250-300 ლარი. კომპანიებს კლიენტების მოსაზიდად მეტად ორიგინალური სახელები აქვთ შერჩეული — „ჩაო ესკუდერო“, „აღაპი“, „სამოთხე“ და სხვა.

როგორც ხედავთ, იმქვეყნად გასამგზავრებელი ბილეთი საკმაოდ ძვირი ღირს, ჩამოთვლილი ფასების შემხედვარემ კი შეიძლება გარდაცვალებაც გადაიფიქროს... დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ!

სალომე გოგოხია

ვისი დავალებით ქსოვს ელისო კილაძე შხამიანი

უსაბუთოდ გამოლაშქრება კაცზე... ისე გვეადვილება... თითქო ბაკლა და ისპანახი იყოს...

ილია ჭავჭავაძე

ყოველთვიურად **რამდენიმე ათასი ლარი იმის სანაცვლოდ, რომ ხელისუფლებას დისკომფორტი შეუქმნა და გააშავო, მიმზიდველი თანხაა. ეტყობა, ელისო კილაძემ ამ ცდუნებას ვერ გაუძლო და ის ელემენტარული წესები დაივიწყა, რაზეც საუკუნეზე მეტი ხნის წინათ წერდა ილია ჭავჭავაძე: „ИМІСТАНА ВМІНДА САДМЕШІ, РОГОРІЦ ВЕДВРІ СІТКВАА, ТКВІЛЕБІТ ДА ЧОРЕБІТ ВРТІС ВАТАНА КВЕЛА УКАДРІСОБАЗЕ УСАДАВЕСІА“.**

ჩვენი გაზეთი ყოველთვის ცდილობს, ეს ნიში დაიცვას, მაგრამ ამჯერად თავს უფლებას მივცემთ, „ვიჭორაოთ“. რედაქციაში გვესტუმრა „ქართულ ოცნებასთან“ დაახლოებული პირი, რომელიც ამტკიცებს, რომ ჟურნალისტ ელისო კილაძეს ნაციონალური მოძრაობა ყოველთვიურად რამდენიმე ათას ლარს უხდის იმ წერილებისთვის და იმ საქმიანობისთვის, რასაც ის „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ ეწევა. მისი „კერძო“ გაზეთის „ქრონიკა+“-ის ყოველი ნომერი აღსავსეა ზიზღით, სიძულვილით, ვითომ კულუარული ინფორმაციებით, რაც კაცმა არ იცის, ტყუილია თუ მართალი. ამის გადამოწმებას არავინ ცდილობს, მაგრამ მკითხველს მიეწოდება, როგორც უტყუარი ფაქტი, სინამდვილე. ადამიანებიც იჯერებენ... **„პრემიერისა და მისი ცოლის ნათესავების ნაციონალური ოცნება“,** რომელიც მიმდინარე კვირას დაიბეჭდა და რომელიც წინა წერილების „ლოგიკური ხაზია“, ცხადად მიუთითებს იმაზე, რომ ჟურნალისტის პათოსი პირდაპირ ნაციონალების წისქვილზე უშვებს წყალს, მით უფრო, 21 მარტის დაანონსებული აქციის წინ. სხვა რა იმუშავებს ისედაც განაწყენებულ საზოგადოებაზე იმაზე მწვავედ, ვიდრე იმის მტკიცება, თუ როგორ მართავენ ივანიშვილ-ღარიბაშვილის კლანები ქვეყანას, როგორ იშლება ტენდერები ბნელი ძალების ჩარევით, და როგორი დაპირისპირებაა ხელისუფლების რამდენიმე ფრთას შორის...

რედაქციის სტუმარი აღშფოთებულია „ქრონიკა+“-ში გასული ინფორმაციის გამო. ჩვენი ძალისხმევის მიუხედავად, ის ელისო კილაძესთან ღია დაპირისპირებას მოერიდა, თუმცა, შეეცადა, ჩვენი გაზეთის მეშვეობით გაეცა პასუხი იმ შეთითხნილი ბრალდებებისთვის, რაც „ქრონიკა+“-ის გვერდებზე ყოველ ჯერზე ახალ-ახალი სიყალბით, ჭორებით და მოგონილი ფანტაზიებით იბეჭდება. მოდით, მივყვეთ წერილს — „პრემიერისა და მისი ცოლის ნათესავების ნაციონალურ ოცნებას“ თანამიმდევრობით. **„მერე რა, რომ ნაციონალები არიან, სამაგიეროდ, მუშაობა მაგათ იციან“, — ეს სიტყვები არც მეტი, არც ნაკლები, პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილს ეკუთვნის. პრემიერმა ეს ფრაზა გუბერნატორების შეკრებაზე წარმოთქვა, მას შემდეგ, რაც „ქართული ოცნების“ გენერალურმა მდივანმა კახი კალაძემ პრეტენზიები დააყენა, — ადგილებზე რეგიონებში განუკითხაობაა და თანამდებობებზე „ოცნების“ წევრების ნაცვლად ნაციონალები ინიშნებიანო“,** — წერს „ქრონიკა+“. რესპონდენტის თქმით: **„ელისო კილაძე მხოლოდ ინტრიგების ხლართვით არის დაკავებული. მისი არც ერთი ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება. სამაგიეროდ, ის იღებს სერიოზულ დაფინანსებას, პირადად გივი თარგამაძე უხდის მას რამდენიმე ათას ლარს (ეს ინფორმაცია გადამოწმებული და დადასტურებულია და ამას თვითონაც აღარ მალავს. მის „facebook“-ზე გაიშიფრა კიდეც). უბრალოდ, ჟურნალისტებს აშინებს, გვერდიდან ყველა მოიშორა. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ადამიანები მასთან ურთიერთობას ერიდებიან. ყველაზე აქვს ღია თუ ფარული ინფორმაცია, პირად ცხოვრებაზე თუ სხვა საკითხებზე... მე ვიცნობ ადამიანს, რომელიც ქუთაისში საჯარო სამსახურში იყო დასაქმებული. გაზეთში ისეთ რამეებს უწერდა, რომ კინაღამ ოჯახი დაუნგრია. ამ კაცმაც აღიარა, რომ კილაძეს მის მიმართ პირადი ინტერესები ჰქონდა, სურდა, რაღაცაში გამოეჭირა და მერე იმას გააკეთებინებდა, რაც მას უნდოდა.**

უკვირს კიდეც საზოგადოებას, საიდან იცის ამ ქალმა ყველაზე ყველაფერი? მას ჰყავს რამდენიმე ერთგული ჟურნალისტი (ჭორნალისტი), აქვთ მოსასმენი აპარატები, ამაში პროფესიონალია... რაღაცას მოჰკრავს თუ არა ყურს, ისე შეფუთავს, თითქოს სინამდვილე იყოს. ისე კი ხშირად იმეორებს, „ამბობენ... ამბობენო“, ანუ თავს იზღვევს“.

მაგრამ კილაძის ინფორმაციებში არის დოკუმენტები, რომლებიც სიმართლეს შეესაბამება. მაგალითად, ის წარსული სამუშაო გამოცდილება, რაც ჩვენს ახლანდელ მინისტრებს აქვთ და რითაც ნაციონალურ მოძრაობას უკავშირდებიან. ისინი მთელი ეს წლები დასაქმებულები იყვნენ საჯარო სტრუქტურებში, რითაც პირდაპირ თუ ირიბად საზოგადოება მათ ყოფილ ხელისუფლებასთან ალიანსში ამხელს. თუმცა, ალბათ, ისიც გასათვალისწინებელია, რომ 9 წლის განმავლობაში დაუსაქმებელ კადრს საპასუხისმგებლო თანამდებობებზე, ბუნებრივია, ვერ დანიშნავდნენ. **„ხელისუფლებამ დროზე ვერ მოასწრო ნაციონალების გაშვება,** — ამბობს რესპონდენტი, — **კილაძემ არ იცის, მაგრამ მე ვიცი, რომ ბევრმა ყოფილი ხელისუფლების მხარდამჭერმა „ოცნებასთან“ ითანამშრომლა. საჭირო და აუცილებელ ინფორმაციას აწვდიდა და ისე ჩანდა, რომ „ოცნების“ მხარეს აღმოჩნდნენ. ყველას გაშვება მაინც არ შეიძლებოდა. ჯერ ერთი, კანონი არ იძლეოდა ამის საშუალებას და მეორეც, თავისი საქმე იცოდა, როგორ, რა მიზეზით უნდა გაგეგდო სამსახურიდან?! 9 წლის განმავლობაში ნაციონალები რას „მარხავდნენ“ ვინ იცოდა, თუ არა ისევ იმათ, ვინც მათთან თანამშრომლობდნენ. ბევრმა გულწრფელად აღიარა, ვცდებოდითო... როგორ შეიძლებოდა მათთვის ხელის კვრა?“** „ქრონიკა+“-ში აქცენტი გაკეთებულია ძმებ ჩხენკელებზე, რომლებიც ადეიშვილის კადრი იყვნენ, მაგრამ ახლა „ოცნებასთან“ თანამშრომლობენ. „მუშაობა იციან და მერე რა, რომ „ნაცები“ არიან, — პრემიერის ეს პოზიცია დიდი ხანია, ამ ქვეყანას უფსკრულისკენ მიაქანებს. სწორედ მისი და მისი ცოლის ნათესავების ხელშეწყობით მოხვდნენ მაღალ თანამდებობებზე ის პირები, რომლებიც არა მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის ნდობით აღჭურვილი პირები იყვნენ, არამედ პირადად მონაწილეობდნენ იმ დანაშაულებრივ ქმედებებში, რომელთა გამოძიებასაც წინასაარჩევნოდ „ქართული ოცნება“ ამომრჩეველს ჰპირდებოდა. ამის ნათელი დასტურია პრემიერ ღარიბაშვილის კარზე ძმები ჩხენკელების გამოჩენა. აკაკი, რომან და ლაშა ჩხენკელები წინა ხელისუფლების დროს ადეიშვილის ახლო გარემოცვას წარმოადგენდნენ... როგორც მოგვიანებით გაირკვა, ყოფილ პრემიერს მოქმედი რამდენჯერმე გაუფრთხილებია, — ჩხენკელები არ გამოგადგება და ნათესავების პრობლემაც მწვავედ დაგიდგებაო... მაგრამ მოქმედმა პრემიერმა საკუთარი ცოლის ნათესავებისა და ნაცების მეგობრობა აუცილებელ პირობად მიიჩნია“, წერს „ქრონიკა+“. შეესაბამება თუ არა ეს ინფორმაცია სიმართლეს? რესპონდენტი ამბობს, რომ არა. **„არც ერთი ჩხენკელი მოცემულ მომენტში თანამდებობაზე არ არის... მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ისინი ხელისუფლებაში იყვნენ იმის გამო, რომ მათ სერიოზული ინფორმაციები გააჩნდათ ტენდერებთან დაკავშირებით. იქ ისეთი ჩახლართული ამბები ხდებოდა, თავს და ბოლოს ვერავინ გაარჩევდა, რომ არა ჩხენკელები, რომლებიც ამ საქმეში გაწაფულები იყვნენ. თქვენ წარმოიდგინეთ, ისე ხსნიდნენ თანხას, რომ ვერავინ ვერ იგებდა და ურიცხავდნენ ადეიშვილს. ეს კარტები ამათ გაშალეს და გაშიფრეს, რა როგორ ხდებოდა“.** ტენდერების თემა ყველაზე ყბადაღებული საქმეა, რომელსაც მედია ხშირად აშუქებს და „ქრონიკა+“-შიც მოხვდა. რაც შეეხება მიმდინარე ტენდერებს, ჩვენი რესპონდენტი დღეს სწორედ ამ მიმართულებით არის დასაქმებული საჯარო სამსახურში. მას ასეთი არგუმენტები აქვს ჩაშლილ ტენდერებთან დაკავშირებით: **„ტენდერები იშლება, ხან ჩერდება, რადგან დოკუმენტაცია ხშირად არასათანადოდ არის მოწოდებული, ხარჯთაღრიცხვა არ არის სწორი და ა. შ. იცით, რამდენი ჩამშლელი პირობაა? ერთი აბზაციც რომ იყოს არასათანადოდ შევსებული, კომპიუტერი ავტომატურად აგდებს, რადგან ყველაფერი ელექტრონულად ხდება. ტექნიკური პროცედურები ართულებენ ამ დეტალებს... ყოფილა შემთხვევა, როცა დაბალი თანხის გამო რომელიღაც კომპანიას გაუმარჯვია, მაგრამ იმდენად იაფი ხარჯები აქვს მითითებული, რომ შეუძლებელია პროექტის ხარისხიანად შესრულება. ასეთი პროექტი კი უმჯობესია, საერთოდ ჩაიშალოს... სატენდერო კომისიის შვიდი საბჭოს წევრი მსჯელობს ამის შესახებ და საბოლოო გადაწყვეტილება ხშირად ისეთია, რომ ტენდერები იშლება... ეს რეალობაა, მაგრამ ობიექტური მიზეზებით განპირობებული“.** პრემიერსა და მისი ცოლის ნათესავების კორუფციულ გარიგებებს უკავშირებს ელისო კილაძე „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ისტორიას. **„ნაცებით სავსეა პროკურატურა და ელისო კილაძე ამით საქმეს იკეთებს“,** — ასკვნის ჩვენი რესპონდენტი.

„ქრონიკა+“-ის რედაქტორი ჭორების აბლაბუდას?

და ძალიან საინტერესო საკითხი: ბოლოს და ბოლოს, ვინ არის თამაზ თამაზაშვილი, რა წვლილი მიუძღვის მას „ქართული ოცნების“ საქმის გაფუჭებაში და რა დოზით და რატომ აძლევს რჩევებს პრემიერ სიძეს? როგორც ამას „ქრონიკა+“ ამტკიცებს. **„ეს არის აბსოლუტური ტყუილი. მე თამაზ თამაზაშვილს ვიცნობ თითქმის ოცი წელიწადია,** – ირწმუნება სტუმარი, – **არის მორწმუნე ადამიანი და რასაც მას აბრალებენ, არ იკადრებს. დამსახურებული გენერალი 2011 წელს კოდუას დავალებით იმიტომ დააკავეს, რომ დაზიანებული იარაღი უპოვნეს. ციხეში მოწამლეს და ორჯერ გული გაუჩერდა. თამაზ თამაზაშვილი, რომელიც აფხაზეთის ომში იბრძოდა, ებრძოდა მხედრიონს და კრიმინალს, კრიმინალად გამოიყვანეს. რასაც სააკაშვილი ამბობდა თამაზაშვილზე თავის დროზე, ზუსტად იმავეს იმეორებს დღეს ელისო კილაძე. ათას სისულელეს იგონებს და თავისი ბინძური ჭორებით ჩირქს სცხებს. მე ისიც ვიცი, რომ ელისო კილაძეს თამაზ თამაზაშვილის მიმართ გრძნობა ჰქონდა და ლამის შინ უვარდებოდა. შეწუხებული იყო თამაზი, მთელი დღე მისაღებში მიზის ეს ქალიო.**

დღეს არსად არ მუშაობს თამაზი, მას ამბიციები რომ ჰქონოდა, თანამდებობა მისთვის არ გაჭირდებოდა. მით უმეტეს, ტენდერებთან მას შეხება არ აქვს“.

საქართველოში, ჩვენი მენტალიტეტიდან გამომდინარე, ნეპოტიზმი უცხო არ არის, მაგრამ ზვიად ჯანყარაშვილი ლამის ამოუხსნელ ფენომენად იქცა. ჩვენი რესპონდენტი ამბობს, რომ დეტალები არ იცის, რატომ გაუშვეს თუ წავიდა ის თანამდებობიდან, მაგრამ ამტკიცებს, რომ ის ერთგულად ემსახურებოდა პარტიას და ბევრი სიკეთეც გაუკეთებია. ბიზნესწილები, ჯოკია ბოდოკია და მისთანები ხელისუფლების შავი ლაქა რომ არის, ფაქტია, მაგრამ ესეც იმისი დასტურია, რომ ქვეყანაში ორხელისუფლებიანობაა და გამორიცხული არ არის, საბოტაჟი ხდებოდეს.

ყოველ შემთხვევაში, „ქრონიკა+“-ის პათოსი ის არის, რომ შეიძლება ბიძინა ივანიშვილი დაბრუნდეს. „დაბრუნდება ბიძინა ივანიშვილი თუ არ დაბრუნდება? გაზაფხულზე, როგორც ჩანს, ამ კითხვაზე რეალური პასუხი უკვე გვეცოდინება, მანამდე კი ტენდერებისა და წყალმომარაგების კომპანიის ხმაურიანი სკანდალი გველოდება.

დაიჭერენ თუ არ დაიჭერენ?

აი, კითხვა, რომელიც ყველაზე მეტად აწუხებთ პრემიერის ცოლის ნათესავებს. დანარჩენი, ჯერჯერობით, მათთვის მხოლოდ ლირიკაა“, – ასკვნის ელისო კილაძე.

„კილაძე ორმაგ თამაშს თამაშობს. თითქოს, ახარებდეს მას ბიძინა ივანიშვილის დაბრუნება, თითქოს გული შესტკივა ხელისუფლების მუშაობაზე და თანაუგრძნობს... ჯერჯერობით, ბიძინა ივანიშვილი არ დაბრუნდება. თვითონ ოცნებაც აღიარებს, რომ ყველაფერი წესრიგში არ არის, მაგრამ ნანობენ, რომ ნაციონალები დროულად არ მოიშორეს. ჩემი აზრით, ამ თვის ბოლოს ბევრი რამე გამოაშკარავდება და მტკიცებულებებიც დაიდება. დღესაც ბევრი ცდილობს, „ოცნების“ გუნდში დარჩენას, ამავე დროს კი ნაციონალებთან თანამშრომლებენ... დღესდღეობით ყველაფერი გაშიფრულია და მალე ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა“, – ირწმუნება სტუმარი. მაგრამ ვიდრე მოღალატეები გაიშიფრებიან, სრულიად აშკარაა, რომ ჟურნალისტი ელისო კილაძე მოღალატეობრივ სამსახურს უწევს „ქართულ ოცნებას“, რაც, ბუნებრივია, ხელისუფლებას აშფოთებს. ის ერჩის მოქმედ მინისტრ დავით შავლიაშვილს: „ზურაბ ადეიშვილის „ლუბიმჩიკი“ და ზვიად ჯანყარაშვილის ბიზნესპარტნიორი დავით შავლიაშვილი ამ დრომდე ინარჩუნებს მინისტრის პოსტს, „ქრონიკა+“-ის წყაროს ინფორმაციით, შავლიაშვილს ფულიც ძალიან უყვარს და „კაზინოში“ სიარულიც. უმეტესად ესპანეთის „კაზინოებს“ ეტანება“. სხვათა შორის, მედიას ახასიათებს ხოლმე ამგვარი ინფორმაციებით გატაცება. არაერთ მინისტრზე თქმულა, რომ ისინი სამორინეებს ხშირად სტუმრობენ. მათ რიგში იყო ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, რომელსაც ამ საქმის სიყვარულის გამო აკრიტიკებდნენ.

„კიდევ ერთი გავლენიანი პირი, რომელიც ასევე ადეიშვილის გარემოცვად მიიჩნეოდა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე გიორგი ზედელაშვილია... ღარიბაშვილის გაპრემიერების შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტრო პრემიერის სიმამრის უშუალო გავლენების სფეროდ იქცა. ალექსანდრე ჭიკაიძე აღნიშნულ პოსტზე მხოლოდ ამ სტატუსით იყო დანიშნული“, – წერს „ქრონიკა+“ და თამაზ თამაზაშვილის გავლენებზე საუბარს აგრძელებს. **„სწორედ მის ცნობილ მარანში დაინიშნენ თანამდებობებზე ის პირები, რომლებიც ნაციონალური მოძრაობის დროს სხვადასხვა მძიმე დანაშაულში იყვნენ ეჭვმიტანილები“.**

რაც შეეხება პრემიერ ღარიბაშვილს, მის მიერ „მოწონებულთა“ სია ასეთია: მინდია ჯანელიძე, ოთარ დანელია, გიორგი მღებრიშვილი, დავით ბაქრაძე... „პრემიერის კიდევ ერთმა რჩეულმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა თამარ ბერუჩაშვილმა, ის ცხრა წელი, რომელიც საქართველოში მოსახლეობის დიდმა ნაწილმა სააკაშვილის რეჟიმთან ბრძოლაში გაატარა, სააკაშვილის რეჟიმის სამსახურს შეალია. 2003 წელს „ვარდების რევოლუციის“ მერე ევროპულ სტრუქტურებთან ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პოსტით დაიწყო და 2012 წელს ამავე მინისტრის მოადგილის პოსტზე დაასრულა.“

ნაციონალური სკოლის გავლის გამო საყვედურობს „ქრონიკა+“ სახელმწიფო მინისტრ გელა დუმბაძეს, რომელიც 2005-2013 წლებში სხვადასხვა ქვეყნის საელჩოებში მუშაობდა.

ვერ გეტყვით, რა გზით და როგორ ეცდებიან კილაძის კრიტიკის ობიექტები პასუხი აგებინონ იმ ტყუილებისა და ჭორებისთვის, რასაც ავრცელებს და საზოგადოებას აგონებს. ალბათ, უმჯობესია, პირდაპირ პოლემიკაში თუ ჩაებმებიან მისი „გალანძღული“ მინისტრები თუ თანამდებობის პირები და არგუმენტირებულ პასუხს გასცემენ...

და ბოლოს, რა შეეხება ბიძინა ივანიშვილის აზრს ელისო კილაძეზე. მან ჟურნალისტებთან ერთ-ერთ შეხვედრაზე განაცხადა:

„ის, რომ ელისო კილაძე და სხვები აცხადებენ, ლაშა ნაცვლიშვილი უნდა გადადგესო, ამას არა აქვს არავითარი საფუძველი, ან გია ხუხაშვილს რაღაც უნდა მიესაჯოსო. მე ძალიან ვთხოვ საზოგადოებას, კარგად გაერკვნენ სიტუაციაში. ჯერ არანაირი ბრალდება არ არის წარმოდგენილი მათი მხრიდან, აჟიოტაჟი კი რამდენიმე კვირაა გრძელდება. ამ აჟიოტაჟის მსხვერპლი გახდა გელა ხვედელიძე. მის წინააღმდეგაც მათ არავითარი საბუთი არ წარმოუდგენიათ, მაგრამ, როგორც ჩანს, ის სუსტი პიროვნება აღმოჩნდა და გამოიყენა ის მასალები, რომელიც მოპოვებული იყო წინა ხელისუფლების მიერ. შესაბამისად, დაისჯება კიდეც. ჟურნალისტები და ცალკეული პიროვნებები ვერ გადაწყვეტენ, ვინ როდის უნდა გადადგეს და რატომ. მათ არ წარმოუდგენიათ არავითარი მასალა. იმ აუდიოჩანაწერში არაფერი დანაშაულებრივი არ არის, გარდა იმისა, რომ „რუსთავი-2“ ამახინჯებს ამ ჩანაწერებს. თქვენ, ჟურნალისტები, არა ხართ მხოლოდ სხვისი აზრის გამხმოვანებლები. როდესაც სხვის აზრს გადმოსცემთ, თქვენ ხდებით თანამონაწილე იმავე კითხვისა. არც ერთი მასალა რისთვისაც გია ხუხაშვილი ან გელა ხვედელიძე უნდა დაისაჯონ, არ წარმოუდგენიათ და მათ მოუწევთ ამ საბუთების წარმოდგენა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხუხაშვილმა გააკეთა განცხადება, რომ მათაც მოუწევთ პასუხისგება. დღეს არავითარი საფუძველი არ არსებობს იმის გარდა, რომ გარკვეული ნაწილი ჟურნალისტებისა ცდილობს (და ნაციონალური მოძრაობა ამას ახმაურებს), ვინმე გადადგეს თანამდებობიდან. გელა ხვედელიძე შეეწირა მათ შანტაჟს. გამოძიებაში ირაკლი ღარიბაშვილთან ერთად, ძალიან აქტიურობდა ლაშა ნაცვლიშვილიც. ორივე ძალიან ღირსეულად მოიქცა. გია ხუხაშვილს უკვე დაურეკეს ელისო კილაძემ და სხვებმა და უთხრეს, შენთან უკვე აღარ გვაქვს პრეტენზიაო. გაათავისუფლეს გია ხუხაშვილი. გიამ უპასუხა, რა ვქნა ახლა, მადლობა გადაგიხადოთო, თუ როგორ მოვიქცეო, ამდენი ხანია, ტალახს მესროდითო. თქვენ – ჟურნალისტები როდესაც ასეთ კითხვებს სვამთ, უნდა გადადგეს თუ არა ლაშა ნაცვლიშვილი, ისიც იკითხეთ, რისთვის უნდა გადადგეს? თქვენ თვითონ მიპასუხეთ, ამის საფუძველი არის თუ არა? რა შუაშია ლაშა ნაცვლიშვილის გადადგომა, იმიტომ რომ, ელისო კილაძეს სურს? თქვენ არა ხართ ფოსტალიონი, ჩემი აზრით, თქვენ ბრძანდებით ჟურნალისტი. კითხვას როდესაც სვამთ, თქვენ ვალდებული ხართ, ამ კითხვის გამეორების? თქვენ ხომ სუფლიორი არა ხართ?! ე.ი. ელისო კილაძე თუ იტყვის, ჩვენც ავდგეთ და მთელი მთავრობა ხვალ უნდა გავანთავისუფლოთ? ესაა ჩვენი ჟურნალისტიკა?! თქვენ რომ თქვათ, მეც უნდა გადავდგე?!“, – აღნიშნა მაშინდელმა პრემიერმა.

ეტყობა, ივანიშვილის სიტყვებმა კილაძეს ჭკუა ვერ ასწავლა...

ნათელა მაღალთაძე

ელ.ფოსტა: ajansi@
599 17 12 12
☎ 294 69 77; qronikaqronika@gmail.com

პრემიერისა და მისი ცოლის

„მერე რა, რომ „ნაციონალეები“ არიან, სამაგიეროდ, მუშაობა მაგათ იციან“

☎ 294 69 77; qronikaqronika@gmail.com

ნათესავების ნაციონალური ოცნება

ჯოკია ბოდოკია

ჯოკია ბოდოკია მანამდე დააკავეს, სანამ ის ნარმანიას ძმას შეხვდებოდეს!!!

კახი კალაძე

დავით ნარმანია

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

თბილისმა რუსეთისა და სამხრეთი ოსეთის სამოკავშირეო ხელშეკრულებას პროვოკაცია უწოდა

საქართველომ შეიძლება, განიხილოს საკითხი ჟენევის მოლაპარაკებიდან გამოსვლის შესახებ

ოთხშაბათს მოსკოვში რუსეთისა და სამხრეთი ოსეთის პრეზიდენტებმა ვლადიმერ პუტინმა და ლეონიდ თიბილოვმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ რუსეთის ფედერაციასა და სამხრეთ ოსეთს შორის. საქართველოს ხელისუფლებამ მომხდარს პროვოკაცია უწოდა, რომელიც ართულებს ამ დღეებში ჟენევაში მიმდინარე კავკასიაში უშიშროების შესახებ საერთშორისო მოლაპარაკების 31-ე რაუნდს. ამ დროს საქართველოს მხარემ გვაგრძნობინა, რომ შეუძლია განიხილოს საკითხი ჟენევის პროცესიდან გამოსვლის შესახებ, თუ მოსკოვი კვლავ არაკონსტრუქციულ პოზიციას დაიკავებს.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა თამარ ბერუჩაშვილმა შეთანხმებას რუსეთის ფედერაციასა და სამხრეთ ოსეთს შორის ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის მორიგი დადასტურება უწოდა. „ამ დოკუმენტს არ აქვს სამართლებრივი ძალა და ეწინააღმდეგება საერთაშორისო ნორმებს. იგი არის რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის კიდევ ერთი ფაქტი და ნაბიჯი მისი ნაწილის ანექსიისკენ“, — განაცხადა ბერუჩაშვილმა. მისი სიტყვებით, მოლაპარაკება ვლადიმერ პუტინსა და ლეონიდ თიბილოვს შორის და ამ მოლაპარაკებათა შედეგად ხელშეკრულების ხელმოწერა შემთხვევით როდი დაემთხვა ჟენევის მოლაპარაკებებს და იგი არის რუსეთის მხარის ცინიკური სცენარი.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით დონდუამ, რომელიც საქართველოს დელეგაციას ხელმძღვანელობს ჟენევაში, განაცხადა, რომ რუსეთი ცდილობს, გაართულოს მოლაპარაკებები შვეიცარიაში ანდა ჩაშალოს კიდეც მოლაპარაკებათა ეს ფორმატი. შესაძლებელია, იმისთვის, რომ შექმნას ახალი, უფრო ხელსაყრელი ფორმატი თავისთვის. მისი აზრით, შექმნილი სიტუაციიდან ყველაზე მარტივი გამოსავალი იქნებოდა თბილისის უარი აწარმოოს მოლაპარაკებები ჟენევაში საქართველოს ტერიტორიების ლეგიტიმურობის მცდელობის ასეთ ფონზე. მაგრამ, აღნიშნა დონდუამ, „შევეცდებით გამოვნახოთ საპირისპირო მოქმედების უფრო ეფექტიანი ვარიანტი დასავლელი პარტნიორების დახმარებით“.

საქართველოს დასავლელმა პარტნიორებმა უკვე აღნიშნეს მოკავშირეობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერისადმი ნეგატიური დამოკიდებულება. კერძოდ, მკვეთრი კრიტიკული განცხადება გააკეთა ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა უცხოეთისა და უშიშროების პოლიტიკის საკითხებში ფედერიკა მოგერინიმ. მოსკოვში ხელმოწერილ შეთანხმებას ქალბატონმა უწოდა „რეგიონში უშიშროებისა და სტაბილურობის განმტკიცების ძალისხმევის წინააღმდეგ კიდევ ერთი ნაბიჯი“. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ჯენ პსაკიმ განაცხადა, რომ „ვაშინგტონი არ აღიარებს რუსეთსა და საქართველოს ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონს შორის შეთანხმებას“. „ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან დაკავშირებით კვლავ ნათელი რჩება. ეს რეგიონები საქართველოს განუყოფელი ნაწილებია. ჩვენ კვლავ მხარს ვუჭერთ საქართველოს დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. ამერიკის შეერთებული შტატები არ აღიარებს რაიმე ეგრეთ წოდებულ შეთანხმებას საქართველოს მეამბოხე რეგიონებისა და რუსეთის ფედერაციის ფაქტობრივ ლიდერებს შორის“, — განაცხადა ქალბატონმა ფსაკიმ.

როგორც საქართველოს პარლამენტის სპიკერმა დავით უსუფაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, ანალოგიური მხარდაჭერა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის პრინციპების შესახებ საქართველოს ხელმძღვანელობამ მიიღო მეგობრული ქვეყნების უმრავლესობისა და პარტნიორული ინსტიტუტებიდან. **„ცივილიზებული სამყარო ხომ მხარს უჭერს ერთ აზრს: ეს არის აგრესიული ნაბიჯი მოსკოვის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ. ჩვენ ამის შესახებ არაერთგზის განგვიცხადებია... ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას, ყველა დემოკრატიული ქვეყნის მთავრობას ჩვენ გადავეცით ინფორმაცია ამის შესახებ. მათ გამოხატეს თავიანთი პოზიციები“,** — უთხრა უსუფაშვილმა ჟურნალისტებს.

ამ დროს ჯერ კიდევ წინა დღით რამდენიმე ქართველი პოლიტოლოგი სკეპტიკურად გამოეხმაურა მოლაპარაკებებს ჟენევაში, უწოდა მათ „უაზრობა მოსკოვის მოქმედებათა გათვალისწინებით“. კერძოდ, ექსპერტმა ხათუნა ლაგაზიძემ შენიშნა, რომ ჟენევის მოლაპარაკებათა ფორმატი, რომელიც ფორმალობად იქცა, შეიძლება, შეინარჩუნო მხოლოდ დიალოგის რეჟიმისთვის რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის“. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა მეორე სპეციალისტი ირაკლი ცქიტიშვილი მხარს უჭერს აზრს, რომ მოსკოვი ცდილობს, აზრი გამოაცალოს ჟენევის ფორმატს და შეცვალოს იგი „აბაშიძე-კარასინის არაფორმალური ფორმატით“. **„ჟენევის მოლაპარაკებები ყოველთვის შედის ჩიხში რუსეთის ფედერაციის უარის გამო — მისცეს გარანტია ძალის გამოუყენებლობას საქართველოს წინააღმდეგ. აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის მხარეები კი ამ ჩიხურ თემას უკავშირებენ ჰუმანიტარულ საკითხებს, რის გამოც მოლაპარაკებები ერთ ადგილს ტკეპნის, ასე რომ, რაიმე წინსვლა არ ჩანს“,** — მიაჩნია ცქიტიშვილს.

მოსკოვის პოზიცია მომხდართან დაკავშირებით საყოველთაოდაა ცნობილი: საქართველო უნდა შეეჩვიოს ახალ პირობებს, შეურიგდეს იმას, რომ აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოებია და უკუპროცესი არ იქნება. უახლესი სახელმწიფოების საერთაშორისო ინსტიტუტის ხელმძღვანელმა ალექსეი მარტინოვმა აღნიშნა, რომ თბილისის სურვილის უქონლობა — აღიაროს ობიექტური რეალობა — ხელს უშლის მოსკოვთან ურთიერთობის გაჯანსაღებას და დაძაბულობის შენელებას რეგიონში მთლიანად.

„აფხაზეთმა და სამხრეთ ოსეთმა აირჩიეს დამოუკიდებლობა და ამ გზიდან არ გადაუხვევენ. რაც შეეხება ხელშეკრულების ხელმოწერას რუსეთის ფედერაციასა და სამხრეთ ოსეთს შორის მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ, ჩემი აზრი ამასთან დაკავშირებით არ შეცვლილა. 2008 წლის საბაზო შეთანხმება მოსკოვსა და ცხინვალს შორის იყო სავსებით სამუშაო, მთლიანად შეესაბამებოდა დღის წესრიგს, და განსაკუთრებული აზრი, დაედოთ ახალი ხელშეკრულება — აფხაზურისგან განსხვავებით — არ არსებობდა“, — თქვა ჩვენთან საუბარში მარტინოვმა. **სხვათა შორის, აღნიშნა მან, ახალ შეთანხმებაში ცუდი არაფერია — მთავარია, რომ ურთიერთობანი მხარეებს შორის ვითარდებოდეს, ღრმავდებოდეს და სამხრეთი ოსეთის ეკონომიკამ, ბოლოს და ბოლოს, დაიწყოს მუშაობა.**

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

დედამიწის ზურგზე

რუსეთმა ყირიმთან დაკავშირებით გაეროს უშიშროების საბჭოს „პროვოკაციულ“ შეხვედრაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა

შეხვედრა გაიმართება გაეროს უშიშროების საბჭოს სათავსოს გარეთ ეგრეთ წოდებული „არიის ფორმულის“ ფორმატში, რომელიც საბჭოს წევრებს საშუალებას აძლევს კერძო სახით გაუცვალონ ერთმანეთს აზრები ორგანიზატორების მიერ იმ მოწვეულ პირთა მონაწილეობით, რომლებიც არ არიან სახელმწიფოთა ოფიციალური წარმომადგენლები.

* * *

აშშ-მა გადაწყვიტა არ გადადოს უკრაინელი ძალოვანების მომზადება

ადრე ამერიკის სამხედრო ხელმძღვანელობაში განაცხადეს, რომ გადაწყვეტილია პროგრამა გადადონ და შემოიფარგლონ სიტუაციის მონიტორინგით. პორაშენკოს პრესსამსახურმა ამერიკის შეერთებული შტატების ვიცეპრეზიდენტზე მითითებით განაცხადა, რომ გეგმა კვლავ ძალაშია: „ჟოზეფ ბაიდენმა ისაუბრა გადაწყვეტილების შესახებ, მოამზადონ ეროვნული გვარდიის 780 უკრაინელი სამხედრო მოსამსახურე, რაც უახლოეს პერიოდში გაიმართება“.

* * *

ჩინეთმა დაადასტურა თურქეთისთვის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის მიყიდვა

გარიგება დაადასტურა სრულიად ჩინეთის საერთაშორისო საზღვაო და ავიაკოსმოსური გამოფენის ზუსტი მანქანათმშენებლობის კორპორაციის წარმომადგენლებმა ლანგკავიში. ეს არის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის პირველი მიწოდება იმ ქვეყნისთვის, რომელიც ნატოს წევრია.

* * *

სომალიში მოკლეს „აშ-შაბაბის“ ერთ-ერთი ლიდერი, იტყობინებიან პენტაგონში

როგორც პენტაგონში აღნიშნავენ, ადნან ჰარარი იყო საკვანძო ფიგურა, რომელიც პასუხისმგებელია „აშ-შაბაბის“ ოპერაციის კოორდინაციაზე უცხოეთში და მიზნად ისახავს ბრძოლას ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა დასავლური ინტერესების წინააღმდეგ. ჰარარი იყო ერთ-ერთი ეჭვმიტანილი 2013 წლის სექტემბერში ნაირობიში სავაჭრო ცენტრზე თავდასხმის საქმესთან დაკავშირებით, რის შედეგადაც 67 კაცი დაიღუპა.

◎ კაკალ გულში

ნეჩაევანი ოჩაზები

● **ჩარჩი, ქორვაჭარი, სპეკულანტი, ბარიგა, ჩალიჩმაისტერი, მევახშე — ამათ ბიზნესმენები ჰქვიათ ახლა, მარაბდელ არსენა ოძელაშვილს კი — ისევ ვაჩაღი!**

● **რაც უფრო მეტ იდიოტობას ჩაიდენ და იტყვი, მით უფრო შემდგარი პიროვნება ხარ ამ ჩვენს წილხვედრ საქართველოში.**

დარწმუნებული ვარ ჰიქსის ბიზონი არიზონის ბიზონთან რომ შევაჯვარო, ლეონარდოს (არა დი კაპრიოს) ფუნჯი რომ მოვიძიო, გოგოლის „მკვდარი სულების“ მეორე ტომი რომ აღმოვაჩინო, ამას რამდენიმე ინდივიდი თუ გაიგებს და მოიწონებს.

და კურტუმში პეროგარჭობილმა, მიშკა-იდიოტივით გაცინებულმა, წითლად შეღებილი თმებით, სტრინგების ამარა ერთ ხელში ჩარლი მენსონის სურათით, მეორეში გაბერილი კონდომით რუსთაველზე რომ გავირბინო და ამავე დროს ვიყვირო რამე აბდაუბდა „გაუმარჯოს დროებით მთავრობას“, ან „ქვესკნელი აღსდგა და გვერჩის“, ან „ზაქარია ფალიაშვილი რუსული პროექტია“, ან „ჰუ იზ ონ დიუთი“, ან კიდევ რამე ამდაგვარი, მეორე დღესვე დამპატიჟებენ ღამის, დღის, შუადღის შოუებში, ჟურნალების პირველ გვერდზე ჩემს ფერად როჟას დაბეჭდავენ, გამოიკვლევენ ყველა ჩემს მკვდარსა და ცოცხალს, შექმნიან თაყვანისმცემელთა კლუბს და მერე რაიმე პოლიტიკურ მოძრაობაში საპატიო ასო-წევრადაც მიმიწვევენ

ჰოდა იმას ვფიქრობ... იმას ვფიქრობ, რა ვუყო ანტრესოლში ნაპოვნ გოგოლის „მკვდარი სულების“ მეორე ტომს?

არ ჯობია ცეცხლს მივცე და ამის მაგივრად გავირჭო პერო, დავიჭირო ხელში პუანკარეს სურათი და ტარზანის შეძახილებით რუსთაველზე ჭადარ-ჭადარ დავიწყო ხტუნვა?

ჯობია! თუმცა, ჭადრები, ფაქტობრივად, აღარ არის რუსთაველზე.

● **ნინო გოგუაძემ კაბელების საქმის მერე გაიღვიძა და უცებ აღარ მოეწონა სად ცხოვრობს თუ მანამდეც ამხელაზე ყვიროდა და მე გამოვტოვე?**

● **დაახლოებით ხო წარმოგიდგენიათ რა ამბავს ატეხავდნენ ნაციონალები, ამ ხელისუფლებას დიდების მემორიალი რომ აეფეთქებინა და ამ აფეთქებას დედა-შვილის სიცოცხლე შეეწირა?**

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

აპირებს ქართველი ხალხი ნაცურ გეენიაში დაბრუნებას?

(მეოთხე გვერდიდან) **ქრისტიან მოაზროვნეთა დაკვირვებით, გლობალიზაცია დასავლელ ფილოსოფოსთა მიზანმიმართული შემოქმედების პროდუქტია, რომელიც მსოფლიო ელიტის სტრატეგიადაა გადაქცეული. მიუხედავად იმისა, რომ „იგი არის ხაფანგი კაცობრიობის ისტორიისათვის“, მისი მთავარი სამიზნე, როგორც ამაში საქართველოსა და უკრაინაში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები უეჭველად გვარწმუნებს, მაინც მართლმადიდებლობის მთავარი ბურჯისკენაა მიმართული.**

დასავლური სამყაროს (აშშ, ევროკავშირი) ცნობილი იდეოლოგები რუსეთის ეროვნული დამოუკიდებლობის ლიკვიდაციას პროგრესულ მოვლენად განიხილავენ და მისი საინფორმაციო უსაფრთხოების დარღვევის, ეკონომიკური კრიზისის წარმოქმნისა და თავდაცვისუნარიანობის დაკარგვის მიზნით არაფერს თაკილობენ.

წმინდა მამათა ესქატოლოგიური წინასწარუწყებანი საყოველთაო აპოსტასიის შესახებ თანდათანობით რეალობად იქცევიან. ამიტომ მომავალი დროისთვის გამოთქმული მათი ბევრი აზრი უკვე ამჟამინდელ ვითარებას ასახავს. ამის ერთ-ერთი მაგალითი თანამედროვე, ე. წ. ცივილიზებული სამყაროს ქრისტიანობისგან გაუცხოებაა, როგორც მორალური, ისე თეოლოგიური თვალსაზრისით. თანდათან დედამიწაზე სულიერი ღირებულებების სულ უფრო ნაკლები დამცველი რჩება, რადგან ახალ მსოფლიო წესრიგს ინტერნაციონალური საბანკო კაპიტალის დიქტატურა განსაზღვრავს. ამიტომ, ვფიქრობ, სწორედ ეს გლობალური ფაქტორები განაპირობებენ ერების ონტოლოგიური საფუძვლების რყევას, რომლებმაც, სხვათა შორის, სამშობლოს დაკარგვის შიში ქართველებსაც გაგვიქრო.

სანამ გლობალიზმის შესახებ საკითხს ძირეულად გავანალიზებდე, ქართველმა მკითხველმა, თუ იგი რუსთმოძულე და ანტიქრისტიანი არ არის, უნდა გაითვალისწინოს, რომ დღევანდელი მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე სწორი ინფორმაციის მიღება მხოლოდ და მხოლოდ რუსული სოციალური ქსელების საშუალებითაა შესაძლებელი. ამის დასტურად, სერბი ანალიტიკოსი ზორან მილოშევიჩი გლობალიზმის თემაზე მუშაობის დროს მიღებულ გამოცდილებას გულახდილად გვიზიარებს: „ინფორმაციის წყაროთა მოძიებისას ჩვენ სერიოზულ პრობლემებს წავაწყდით, ვინაიდან ანტიგლობალისტურ გამონათქვამებზე დაუფარავი ცენზურა არსებობს, ანუ ანტიგლობალიზმის მხარდასაჭერი საქმიანობა და აზრის გამოხატვის თავისუფლება იზღუდება. ამგვარად, გლობალიზმის მოწინააღმდეგე ეკლესიის ბევრ მსახურსა და მართლმადიდებელი ინტელიგენციის წარმომადგენელს თავისი აზრის ცხადად გამოთქმა არ შეუძლია. ამ ფაქტის გამო, ძირითადი ინფორმაცია ჩვენ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წყაროებიდან მოვიპოვეთ“.

ამ სახის რამდენიმე პუბლიკაცია მეც მოვიძიე და მათ შინაარსს ქართველ მკითხველებსაც გავაცნობ, მაგრამ, ამასთანავე, დავსძენ, რომ მოწოდებული ინფორმაცია სარგებლობის მომტანი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიქნება, თუ წამოჭრილი პრობლემების დასაძლევად საკუთარ ძალისხმევას არ დავიშურებთ და საზოგადოებრივი მდგომარეობის გამოსწორებას საქმით, სიტყვით და გულისხმისყოფით შეძლებისდაგვარად შევუწყობთ ხელს.

გლობალიზაცია

თავიდან ეს ტერმინი პოზიტიური პროცესის აღსანიშნავად, საწარმოო და ეკონომიკურ ურთიერთობათა გაუმჯობესების თვალსაზრისით გამოიყენებოდა (ვაჭრობა, ინოვაციური ტექნოლოგიები, ტრანსპორტი, კომუნიკაცია და სხვ.). მაგრამ გლობალიზმის ძირითადი პრინციპების ახლებურად გააზრებამ მასში ობიექტური ჭეშმარიტების უარყოფის (რელატივიზმის) ნიშნები და ადრინდელი ჰუმანისტური იდეალებისადმი ფორმალური დამოკიდებულება გამოამჟღავნა. ამ თეორიის მიხედვით, „ღია საზოგადოების“ იდეოლოგიის შესაბამისად, პრივილეგირებული უმცირესობის წარმომადგენლებს პლანეტის გლობალური რესურსების („ოქროს მილიარდების“) მოხმარებისთვის შეუზღუდავი უფლებები ენიჭებათ. ამგვარი იდეოლოგია კი, თავისთავად, უმაღლესი მორალური ღირებულებების ცვლილებას მოითხოვს და თავისი არსით ქრისტიანულ პრინციპებს ეწინააღმდეგება.

გლობალიზმის ერთ-ერთი პოსტულატის მიხედვით, მთელი კაცობრიობა უნივერსალურ ერთობად უნდა გადაიქცეს; ყველა რასა ერთმანეთს უნდა შეერწყას. აქედან გამომდინარეობს მსოფლიო ხელისუფლების, ერთიანი პოლიტიკური ცენტრის შექმნის აუცილებლობის იდეა, რომელსაც მეთაურად ერთი მსოფლიო მბრძანებელი და ყველა აღმსარებლობის რელიგიური ლიდერი ეყოლება. ძნელი დასანახი არ არის, რომ ამ იდეოლოგიის უკან „თავიანთი ღმრთისმბრძოლი გეგმების რეალიზაციის მიზნით ანტიქრისტეს მსახურები იმალებიან“.

ასევე ფსევდომეცნიერულია მსჯელობა იმის შესახებ, რომ გლობალიზაციის პროცესი აუცილებელი და გარდაუვალია. გლობალიზმის იდეოლოგები ამ თეზისით დროდადრო განაიარაღებენ იმ ადამიანებს, რომელთაც „ახალი მსოფლიო წესრიგის“ შემქმნელთა მთავარი მიზნების დანახვა არ შეუძლიათ. ისინი სარგებლობენ ადამიანების უცოდინრობითა და ურწმუნოებით, რადგან საეკლესიო სწავლება ანტიქრისტესა და ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ მათ არ აინტერესებთ.

კიდევ ერთი ცრუ დებულება გლობალიზმისა ისაა, თითქოს „ახალი მსოფლიო წესრიგის“ დამყარების შემდეგ ყველა სახელმწიფოსა და ყველა ხალხს თანასწორი უფლებები და შესაძლებლობები ექნებათ, ანუ კაცობრიობას საყოველთაო აყვავებისა და კეთილდღეობის ხანა დაუდგება.

თუმცა, სულ სხვა რამეს ამტკიცებს აშშ-სა და ევროკავშირის პოლიტიკა ერაყის, ავღანეთის, იუგოსლავიის, ლიბანის, სირიისა და მთელი მართლმადიდებელი სამყაროს მიმართ. **გლობალიზმის მთავარმა იდეოლოგებმა (ბჟეზინსკი, პეჩეი, ზანგერი, კისინჯერი და სხვ.) მართლმადიდებლობა ნომერ პირველ მტრად ოფიციალურად გამოაცხადეს.** ამ საკითხზე მხოლოდ ერთ ციტატას დავიმოწმებთ მ. სააკაშვილის ცნობილი მხარდამჭერის, შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრ კარლ ბილდტის „სიბრძნიდან“: **„პუტინი არა საყოველთაო მსოფლიო ღირებულებების, არამედ მართლმადიდებლობის მიმართ ახდენს ერთგულების დემონსტრირებას, მართლმადიდებლობა კი ისლამურ ფუნდამენტალიზმზე უფრო სახიფათოა და დასავლური ცივილიზაციის მთავარ საფრთხეს წარმოადგენს; ამასთან იმიტომაც, რომ ოჯახურ ურთიერთობათა რეგლამენტირებას ცდილობს და გეებსა და ტრანსგენდერებს მტრობს“.**



რუს ავტორთა მონაცემების მიხედვით, აშშ-ის სახელმწიფო კონგრესი მილიონობით დოლარს ხარჯავს მარტო იმისთვის, რომ აღმოსავლეთ ევროპის მოსახლეობა დასავლური დემოკრატიის მიღწევებს აზიაროს და ამით შეასუსტოს აღმოსავლეთის ქრისტიან ხალხთა სულიერი ერთობა, რომელიც მართლმადიდებლურ ტრადიციებზეა დაფუძნებული.

გლობალიზაციის ალტერნატივა

ოდესისა და იზმაილის მიტროპოლიტს აგათანგელოსს აქვს კონცეფცია, რომლითაც იგი აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის გზას გვთავაზობს: **„უწინარეს ყოვლისა, აუცილებლად საჭიროა რუსეთთან გაერთიანება უკრაინისა, ბელორუსიისა, შუა აზიის ხალხებისა და ამიერკავკასიისა, რომელნიც ადრე რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდნენ. შემდეგ კი ამ ბლოკში შეიძლება შევიდნენ ბალკანეთის სახელმწიფოები და საბერძნეთი“.**

მსგავსი მოსაზრება სერბეთის მართლმადიდებელ ეკლესიაშიც არსებობს. მაგალითად, **მეუფე ნიკოლოზი (ველემიროვიჩი) მართლმადიდებლობის ფარგლებში ასეთ თანამშრომლობასა და სახელმწიფოებრივ გაერთიანებას მხარს უჭერს. ანალოგიური შეხედულება ჰქონდა რუსეთის ყოფილ პატრიარქს ალექსი მეორესაც, რომელიც საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოღვაწეებს ახალი სახის აღმოსავლურ-ქრისტიანული კავშირის შექმნისკენ მოუწოდებდა.** შეიძლება ითქვას, რომ გლობალიზაციის ალტერნატივა იდეურად ფორმირებულია და მასში მართლმადიდებელი ხალხებისა და სახელმწიფოების ისეთი გაერთიანება იგულისხმება, რომელიც არ გამოიყენებს ელექტრონულ კოდებს სამი ექვსიანით, საფრთხეს არ შეუქმნის ხალხთა თვითმყოფადობას, არ მოსპობს ეროვნულ და ტრადიციულ საგანმანათლებლო სისტემას, უსარგებლო საგრანტო პროგრამებით არ გაფლანგავს ინტელექტუალურ პოტენციალს და ა. შ.

თუმცა „აღმოსავლური კავშირისა“ იდეა დიდი ხანია, არსებობს, მაგრამ ბოლომდე რეალიზებული იგი არასდროს ყოფილა. ძირითადად ყველაფერი ყოველთვის დეკლარაციულ დონეზე მთავრდებოდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადგილობრივ მართლმადიდებლურ ეკლესიებს აქამდე იმდენი პოლიტიკური და სულიერი ძალა არ ჰქონიათ, რომ ასეთი გაერთიანებისთვის მიეღწიათ. ამიტომ იგი მხოლოდ მაშინ შეიძლება განხორციელდეს, როცა ზემოთ ხსენებულ ხალხთა სახელმწიფო ორგანოები და პოლიტიკური პარტიები აღნიშნულ (მართლმადიდებლურ) პროგრამებს საკუთარ საქმიანობად ჩათვლიან.

2004 წლის მაისში რუსეთის, ბელორუსიის, უკრაინისა და ყაზახეთის სახელმწიფოთა მთავრობებმა აღნიშნული იდეის ხორცშესხმისთვის კონკრეტული ზომები მიიღეს: მაშინ მოეწერა ხელი ამ სახელმწიფოთა გაერთიანების შეთანხმებას, რის თანახმადაც რუსული რუბლი 2006 წლიდან ყველა სახელმწიფოში გადახდის საშუალება უნდა გამხდარიყო, საზღვრები გაუქმდებოდა, გათვალისწინებული იყო ერთი მოქალაქეობის შემოღება, ანუ მიზანს ერთიანი პოლიტიკური სტრატეგიის შემუშავება წარმოადგენდა. ამ პროგრამის ინიციატივა ეკუთვნოდა ბელორუსიის პრეზიდენტს ა. ლუკაშენკოს, ხოლო შემდგომ წამყვანი როლი რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ვ. პუტინს დაეკისრა. სხვათა შორის, როგორც ანალიტიკოსები აღნიშნავენ, ეს ფაქტი არის ერთ-ერთი მიზეზი, რომლის გასაჯაროების შემდეგ დასავლური მასმედია ლუკაშენკოს დაატყდა თავს და იგი დიქტატორად გამოაცხადა.

ბალკანეთისა და განსაკუთრებით სერბ მართლმადიდებელთა შორის „აღმოსავლური კავშირის“ იდეას სათანადო მხარდაჭერა არა აქვს, რადგან გლობალისტები მათზე ნეგატიურ გავლენას ახდენენ. არსებობს სხვა „წყალქვეშა კლდეებიც“: ყველას, ვინც ამ იდეის მხარდაჭერას გაბედავს, ერეტიკოსად აცხადებენ და მასმედია, თავის მხრივ, იწყებს თავდასხმას, რომელსაც დიდი უმრავლესობით გლობალისტები აკონტროლებენ. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ XX ს-ის ბოლოს ყოფილმა იუგოსლავიის სოციალისტურმა რესპუბლიკამ მიიღო გადაწყვეტილება რუსეთსა და ბელორუსიასთან ინტეგრაციის შესახებ, მაგრამ 2000 წელს, სლობოდან მილოშევიჩის ხელისუფლების დამხობის შემდეგ, ეს იდეა დავიწყებას მიეცა, თუმცა, ის ოფიციალურად არც არავის უარუყვია.

გლობალიზმის ადგილობრივი ადეპტები

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ცნობილი წარმომადგენლების — ა. კვიტაშვილის, ე. ზღულაძის, გ. გეწაძის, ზ. ადეიშვილის, მ. სააკაშვილის — უკრაინის სახელისუფლო პოსტებზე დანიშვნით სრულიად ცხადი გახდა, რომ საქართველოში ცხრა წლის განმავლობაში მოქმედი ნაცთა მმართველი გუნდი დანაშაულებრივი საერთაშორისო ორგანიზაციის ინსტრუქციებით ხელმძღვანელობდა. ნაცების მიერ გლობალისტური იდეოლოგიით განხორციელებულმა რეფორმებმა მიზანმიმართულად გაანადგურა განათლების სისტემა, მეცნიერების დარგები და კულტურის ცალკეული სფეროები; გარდა იმისა, რომ ხელში ჩაიგდო მედიის ყველა ბერკეტი, განსაკუთრებით ტელევიზიებში ამორალური, ანტიქრისტიანული და ანტიეროვნული სული დაამკვიდრა; არ დარჩენილა არც ერთი ეროვნული სიწმინდე, ძეგლი თუ მემორიალი, გლობალიზმის ადგილობრივი ადეპტების მსახვრალი ხელი რომ არ შეხებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ნაცური ელიტის წარმომადგენლები ყველა ანტისახელმწიფოებრივ დავალებას მონური მორჩილებით ასრულებენ, მათი დაბნელებული სულები მაინც ბედნიერების განცდას ელიან, რაც მათ მამონამ უნდა მოუტანოს! მაგრამ, როგორც საქმეს პირი უჩანს, სამშობლოს მტრობა ჩაუშხამდებათ და განაჩენს თავიანთ თავს თვითონ გამოუტანენ. 21 მარტისთვის დაანონსებული აქცია, მართალია, გლობალისტური წესრიგის აღსადგენად, ანუ ქვეყანაში ქაოსის გამოსაწვევად არის დაგეგმილი, მაგრამ ქართველი ხალხი არ აპირებს ნაცურ გეენიაში დაბრუნებას და, თუ აუცილებლობამ მოითხოვა, ცოცხიანი კუდიანების თავებზე შეკრებილ ნაკვერჩხალს ნამდვილად გააღვივებს!

გრიგოლ რუხაძე,
პროფესორი

◎ ალიან-ჩალიანი

ფასები მაღლა იწევს

საქსტატის ინფორმაციით, 12-თვიან პერიოდში ფასები გაიზარდა საკვები პროდუქტების (სასმელების ჩათვლით), თამბაქოს, მეტალურგიული მრეწველობის, ლითონის მზა ნაწარმის წარმოებაზე, ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობასა და საგამომცემლო საქმიანობაზე.

სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა საქართველოში სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსის შესახებ 2015 წლის თებერვლის ინფორმაცია გამოაქვეყნა.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2015 წლის თებერვალში 2015 წლის იანვართან შედარებით, სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი 1,3 %-ით გაიზარდა. ინდექსი გაზრდილია 2014 წლის თებერვალთან შედარებით 5,4%-ით და 2005 წლის საშუალოსთან შედარებით 72,6 %-ით.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 12-თვიან პერიოდში ინდექსის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ სექციებზე — დამამუშავებელი მრეწველობა და ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება.

◎ ხელბურთი

სტუ – სრული სვლით!

ხელბურთელ ვაჟთა ეროვნულ ჩემპიონატში წლეულს 8 გუნდი მონაწილეობს, ხოლო რეგულარული პირველობის დასრულების შემდეგ ოთხი საუკეთესო მედლებისთვის განაგრძობს ბრძოლას. უკვე გათამაშდა 11 ტური. ბოლო ტურის შეხვედრებს ბათუმმა უმასპინძლა. საქართველოს ჩემპიონმა სტუ-მ შარშანდელი ჩამპიონატის ვერცხლის პრიზიორი „ბათუმი“ დაამარცხა 25:23 და კვლავაც ერთპიროვნულად ლიდერობს. არადა, ამ სეზონში ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდის შვიდი ხელბურთელი გადავიდა აჭარის დედაქალაქში.

სატურნირო ცხრილში მეორე საფეხური შეინარჩუნა საქართველოს თასის მფლობელმა „სამტრედიამ“. მან 29:25 აჯობა „ქუთაისს“, რომელსაც ექვსი ტურის განმავლობაში მარცხი არ განუცდია. ამ მატჩის შედეგის მიუხედავად, ორივე გუნდმა სტუ-სთან ერთად ფინალში თამაში გაინაღდა. მეოთხე ადგილი ვაკანტურია, ოღონდ „ბათუმმა“ მომდევნო სამი შეხვედრა უნდა დათმოს, „პეგასმა“ კი, რომელმაც მე-11 ტურში „იმედი“ დაჯაბნა (41:22), დარჩენილ პაექრობებშიც უნდა გაიმარჯვოს. თითო ქულით მეშვიდე-მერვე ადგილებს ინაწილებენ „იმედი“ და „ფოთი“, რომელსაც „ქარიშხალმა“ მოუგო – 38:28.

სატურნირო მდგომარეობა: სტუ – 22 ქულა (ბურთები: 370:292), „სამტრედია“ – 17 (395:301), „ქუთაისი“ – 16 (353:305), „ბათუმი“ – 14 (369:290), „პეგასი“ – 9 (312:295), „ქარიშხალა“ – 8 (328:363), „ფოთი“ – 1 (307:441), „იმედი“ – 1 (252:399). XII, XIII და XIV ტურების მატჩები 1-3 აპრილს თბილისში გაიმართება.

ლექსო ცინცაძე

◎ ჭიდაობა

პირველად - ოცდასამწლამდელებში



პოლონეთის ქალაქი ვალბრჟიხი 24 მარტიდან 23-წლამდელ მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. მსგავსი შეჯიბრება პირველად იმართება, ამიტომ დიდ ინტერესს იწვევს. ამ ტურნირზე საქართველოს ორივე ნაკრები იასპარეზებს, თანაც სრული შემადგენლობით. თავისუფალ ჭიდაობაში ემზარ ბედინეიშვილის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას დაიცავენ: ბექა ბუჯიაშვილი (57), გიორგი შამათავა (61), ზურაბ იაკობაშვილი (65), ალექსანდრე ჯაჭვაძე (70), ზურაბ ერბოწონაშვილი (74), ირაკლი მწითური (86), ომარ გუსოშვილი (100) და გიორგი მეშვილდიშვილი (125). ჩემპიონატზე „კლასიკოსებს“ – ხვიჩა ჭითავას (59), გიორგი დავითაიას (66), ბაკურ გოგოლს (71), გიორგი ჩაჩანიძეს (74), ლაშა გობაძეს (80), შალვა ხაჩიძეს (85), კუკური კირცხალიას (98) და შოთა გოგისვანიძეს (130) ზაზა ჯიბლაძე უთავკაცებს.

ლაშა დიდია

◎ სამთო თხილამურები

მესამე ადგილს დასჯერდა

საქართველოს სამთო მოთხილამურეთა ნაკრების წევრმა ნინო წიკლაურმა ავსტრიის კურორტ რაიტერალმში იასპარეზა გიგანტურ სლალომში. ქართველმა მოთხილამურემ მესამე ადგილი დაიკავა. პირველ-მეორე ადგილებზე იტალიელები – ფრანჩესკა პოლენტარეტი და მარტინა სკურელი გავიდნენ.

გივი გაგუა

სურათზე: ნინო წიკლაური.

◎ ჩოგბურთი

ოთხეულის მეოთხედფინალი და მარეის რეკორდი

მსოფლიო რეიტინგსიის საუკეთესო ოთხეულის წევრები ნოვაკ ჯოკოვიჩი, როჯერ ფედერერი, რაფა ნადალი და ენდი მარეი ამერიკის შეერთებული შტატების კალიფორნიის შტატის ინდიან უელსის „მასტერზ 1000“-ის მეოთხედფინალში ორსეტიანი პაექრობების შემდეგ გავიდნენ.

კლასიფიკაციის ლიდერმა ჯოკოვიჩმა ტურნირზე მერვე ნომრად განთესილ ამერიკელ ჯონ იზნერს 6:4, 7:6 მოუგო და ნახევარფინალში გასასვლელად ავსტრალიელ ბერნარდ ტომიჩს შეხვდება.



სადიდსლემო შეჯიბრებების 17-გზის ჩემპიონმა როჯერ ფედერერმა მეოთხედფინალისკენ მიმავალი გზიდან კორტის კიდევ ერთი მასპინძელი ჯეკ სოკი იოლად – 6:3, 6:2 ჩამოიშორა. შვეიცარიელის მომდევნო მეტოქე ჩეხი ტომაშ ბერდიხია. „სოკთან ლამის იდეალური მატჩი ჩავატარე. კარგად ვაწოდებდი და ბურთის მიღებაც კარგი მქონდა. ბერდიხთან რთული ბრძოლა მელის. აღარც კი მახსოვს, პირველად ერთმანეთს როდის დავუპირისპირდით. მას შემდეგ მოყოლებული ტომაში პირველი ათეულის ჩოგბურთელად ჩამოყალიბდა და მეტად რთული შეხვედრა მომიწევს“, – განაცხადა ფედერერმა.

მალიორკელმა რაფა ნადალმა ფრანგ ჟილ სიმონს 6:2, 6:4 მოუგო და მეოთხედფინალში ჩერნოგორიული წარმოშობის კანადელ მილოშ რაონიჩს დაუპირისპირდება.

უპრობლემოდ იმარჯვა შოტლანდიელმა ენდი მარეიმაც. მან ფრანგ ადრიან მანარინოს 6:3, 6:3 სძლია და პროფესიული საჩოგბურთო კარიერის განმავლობაში 496-ე მატჩი მოიგო, ეს კი „ღია ეპოქაში“ ბრიტანელ მოთამაშეთაგან საუკეთესო შედეგია. „არცკი ვიცოდი, მოგების შემთხვევაში რეკორდს რომ დავამყარებდი და ტიმ ჰენმანის მიღწევას გავაუმჯობესებდი“, – დასძინა მარეიმ.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

დღეს კენჭისყრაა

ჩემპიონთა ლიგას ფეხბურთის სამშობლოს უკანასკნელი მოჰიკანიც გამოემშვიდობა, მაგრამ ამისთვის „მანჩესტერ სიტის“ ძნელად თუ გააკრიტიკებ კაცი – მისი მრისხანე მეტოქე „ბარსელონა“ დღესდღეობით ობიექტურად გაცილებით ძლიერი გუნდია ინგლისელებთან შედარებით, რასაც პრემიერლიგასა და პრიმერადივიზიონში მათი ბოლოდროინდელი მონაგარიც ადასტურებს.

„ბარსელონა“ – „სიტი“ 1:0
(პირველი მატჩი – 2:1)

გოლი: **რაკიტიჩი.**

ამ წყვილის ორრაუნდიანი მერვედფინალური დუელის ბედი მნიშვნელოვანწილად ორი კვირის წინათ გადაწყდა. მიუხედავად იმისა, რომ ზეგ კატალონიელებს სამკვდრო-სასიცოცხლო „ელ კლასიკო“ ელით მადრიდის „რეალთან“, ისინი საპასუხო შეხვედრასაც მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ და რომ არა სტუმართა მეკარის ჰარტის საქმენი საგმირონი, გაცილებით სოლიდური სხვაობით გაიმარჯვებდნენ.

სამართლიანნი თუ ვიქნებით, ქებას მისი კოლეგა ტერ შტეგენიც იმსახურებს, რომელმაც პენალტი მოიგერია, მაგრამ წინააღმდეგ შემთხვევაშიც საერთო სურათი ბევრით არ შეიცვლებოდა – ლუის ენრიკეს გუნდი უკვე მთელი ტურნირის ერთ-ერთ

უმთავრეს ფავორიტად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

„ბორუსია“ – „იუვენტუსი“ 0:3
(პირველი მატჩი – 1:2)

გოლები: **ტევესი (2), მორატა.**

პირლოს ტრავმა ბუნდესლიგის ბინადრებს გარკვეულ შანსს უნარჩუნებდა, მაგრამ ტევესის ინდივიდუალური ოსტატობა („დუბლი“ და საგოლე გადაცემა) საკმარისი აღმოჩნდა ლოგიკის საზეიმოდ.

დღეს უეფას შტაბბინაში მეოთხედფინალისტთა კენჭისყრა მოეწყობა.

ეროვნული ჩემპიონატის XX ტური.

„დინამო“ – „მეტალურგი“ 2:0, „გურია“ – „დილა“ 0:0, „ბათუმი“ – „ვიტ ჯორჯია“ 2:1, „ტორპედო“ – „ცხინვალი“ 2:0, „სამტრედია“ – „ზესტაფონი“ 3:0, „ჩიხურა“ – „კოლხეთი“ 5:1, „სიონი“ – „შუქურა“ 1:3, „ზუგდიდი“ – „მერანი“ 3:0.

ლიდერთა ჯგუფი: „დინამო“ – 41, „ბათუმი“ – 39, „დილა“ – 38, „სამტრედია“ – 34, „ცხინვალი“ – 33 ქულა.

გიორგი ზოთაძე

◎ ინტერნეტიდან

მარია და ლესბოსელები

რუსი მეჩოგნე მარია შარაპოვა ამ ბოლო დროს ახალ-ახალი სკანდალების ხელოვნურად აგორებითაა დაკავებული და ეს საქმე მართლაც რომ მშვენივრად გამოსდის. როგორც ჩანს, მარიას ნამეტანი მოსწონს საზოგადოების ყურადღების ცენტრში მუდმივად ყოფნა და კიდეც ილვწის საამისოდ.

რამდენიმე დღის წინათ შარაპოვამ გერმანიაში ყოფნის დროს ერთ-ერთი ნაკლებად სერიოზული ჟურნალის რედაქტორთან საუბრის დროს განაცხადა, რომ ჩოგბურთელ ქალებში ბევრი ლესბოსელია და მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებიც სხვა ქალებს აძალებენ, გინდათ თუ არა თქვენც გამოლესბოსელდითო.

მარია იმასაც ამბობს, რომ ძველი ლესბოსის კუნძულის მკვიდრთა სულიერ მემკვიდრეებს არაფერს ერჩის და არავის ცხოვრებაში არ აპირებს ხელ-ფეხ-მკერდის ფათურს, მაგრამ იმასაც დასძენს, რომ თავად ვერასოდეს წარმოიდგენს ქალს როგორ უნდა ჩაეკონოს და ჩაეღვარჭლინოს. არ უნდა და ნუ უნდა. ვინ აძალებს ნეტა...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ „თამაში“ ფასით?

ვინ რამდენად იყოფს ერთი თხილის გულს?

ბოლო რამდენიმე დღეა, მოულოდნელად დაკლებული თხილის ფასი მცირე მეწარმეების თავსატეხი გახდა. როგორც მეწარმეები აცხადებენ, თხილის ფასი 4 ლარით გაიაფდა, რამაც მცირე მეწარმეები ზარალის საფრთხის წინაშე დააყენა. მცირე მეწარმე კობა ფაჟავა აცხადებს, რომ ბოლო ორი დღეა ყველაფერი თავდაყირა დადგა. ზუსტად ორი დღის წინ, 1 კგ თხილის ფასი 11 ლარი იყო, 17 მარტის მონაცემებით კი 10 ლარამდე ჩამოვიდა. მომდევნო ორ დღეში კი, როგორც ამბობენ, ფასს „დაარეგულირებენ“ და 7 ლარამდე ჩამოვა. მისივე თქმით, 15 მარტს მთელი დღის განმავლობაში 1 კგ. თხილის ფასი 12 ლარს აღემატებოდა. ფასის ცვლილება რეალურია, მაგრამ აქტიურად საუბრობენ, რომ ამ ბიზნესის მონოპოლიზება ხდება, ანუ საქმეში ჩაერთნენ ადამიანები, რომელთა უკანაც დიდი ფული და გავლენიანი პიროვნებები დგანან.



— თუ ბაზარი თავისუფალია, ფასს თავად ბაზარი უნდა არეგულირებდეს, როგორც აქამდე იყო და არა — კონკრეტული პიროვნებები. ორ დღეში თხილის 4 ლარით გაიაფება კითხვებს აჩენს, მით უფრო მაშინ, როდესაც ვიღაც გასცემს ბრძანებას, რომ თხილის შესყიდვა შეჩერდეს. სამწუხაროდ, ბოლო დღეებში ძალიან შეიცვალა სიტუაცია და შევარდნაძის ხელისუფლების დროინდელს დაემსგავსა. წლებია ამ საქმეში ვარ და ასევე წლებია არც ბიზნესმენებისგან და არც ქარხნებისგან არ გამიგია, დღეს თხილს არ ვიბარებთო. ამ ყველაფერს კარგი პირი არ უჩანს.

— შემსყიდველები ადგილობრივები არიან?

— დიახ, თურქებს არ უშვებენ, რადგან ისინი უფრო მეტ ფასს იხდიან. თურქები რომ არ ყოფილიყვნენ, გასულ წელს თხილი ფასი ასეთი მაღალი არ იქნებოდა. თურქეთში არსებულმა მოსავლის დეფიციტმა გაზარდა მოთხოვნა. რაც შეეხება დანარჩენ შემსყიდველებს, თუნდაც გერმანელებს, არც ისინი ჩანან ისე აქტიურად. დანარჩენი მუდმივი კლიენტები კი, რომელთაც თხილი ევროპის სხვა ქვეყნებში გაჰქონდათ, გვეუბნებიან, ლიმიტი დაგვიწესესო. ეს ტყუილია, რადგან ორ დღეში ასეთი რამ არ ხდება.

ზარალზე საუბრობს კიდევ ერთი მცირე მეწარმე თემურ დარასელია, რომლის თქმითაც, თხილის ბიზნესზე ინტერესები კონკრეტულ პიროვნებებს გაუჩნდათ. „თავიდან, თხილის ფასის თამაში დოლარის კურსს მივაბით, მაგრამ შემდეგ მალევე გაირკვა, რომ ამ ბიზნესის მიმართ ინტერესი კონკრეტულ პიროვნებებს გაუჩნდათ. მეც და უამრავ ჩემნაირსაც 1 კგ თხილში 11 ლარამდე გვაქვს გადახდილი. უკვე დავზარალდი, რადგან ამ ხნის განმავლობაში პროდუქტი ბრუნვაში არ გამიშვია, რადგან ფასის აწევას ველოდები. თუ რამდენიმე დღეში თხილის ფასი 7 ლარი გახდება, ფაქტობრივად, გავკოტრდები ჩემს დღეში რამდენიმე ასეული ადამიანია. არადა, არიან ბიზნესმენები, რომელთაც ტონობით თხილი იყიდეს და დაალაგეს, რადგან იყო საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მაისში 15 ლარამდე აიწეოდა. თავისუფალი ბაზრის პირობებში ასეც მოხდებოდა“, — აცხადებს თემურ დარასელია.

ლალი პაპასკირი

რეზო ამაშუკელი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაეცვალა ბავშვობის მეგობარი

თემურ ჯიბლაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

◎ კრიმინალი

ამოღებულია დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ 51 აბი ე.წ. ბიო და დიდი ოდენობით კანაფის ფისი ამოიღო. ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1974 წელს დაბადებული ლევანი ჩ. ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა დაკავებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას 51 აბი ე.წ. „ბიო“ და 92,5716 გრ ნარკოტიკული საშუალება კანაფის ფისი ამოიღეს.

ამოღებული „ბიო“ ექსპერტიზის დასკვნით 2,2846 გრ ფენეთილამინის ნაერთთა კლასის ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებას შეიცავს. ნარკოლოგიური შემოწმებით, დაკავებულს მარიხუანის მოხმარების ფაქტი დაუდგინდა.

◎ თითქმის დაუჯერებელი...

ივანიშვილი მსოფლიოს ათ ყველაზე ახირებულ მილიარდერს შორის მოხვდა

გამოცემა myfirstclasslife.com-ი, **მათი ვერსიით, მსოფლიოს ათი ყველაზე ახირებული მილიარდერის შესახებ წერს.**

ჯოსელინ უაილდენშტეინი

უაილდენშტეინი მილიარდერი მდიდარ კაცზე გათხოვების შემდეგ გახდა. მან ერთ წელიწადში 600 000 დოლარი დახარჯა. მილიარდერისთვის არც ისე დიდი თანხააო, იფიქრებთ, მაგრამ საქმე ის არის, რომ მან ეს ფული მხოლოდ სატელეფონო ხარჯებში, საკვებსა და ღვინოში გადაიხადა.

რობერტ კლარკ გრემი

მას შემდეგ, რაც მილიარდერი გახდა, გრემმა სპერმის ბანკი დააარსა. უცნაურობა იმაში მდგომარეობს, რომ მის სპერმის ბანკში საკუთარი ფლუიდების ჩაბარება მხოლოდ ნობელის ჯილდოს მფლობელებს შეუძლიათ.

ინგვარ კამპარდი

სიის სხვა წარმომადგენლებისგან განსხვავებით, კამპარდი იმითაა გამორჩეული, რომ ფულს არ ხარჯავს. სავაჭრო ქსელ „იკეას“ დამაარსებელი კვლავ 1993 წელს წარმოებული მანქანით გადაადგილდება და თვითმფრინავში პირველი კლასით არ მგზავრობს.

ბობ პარსონსი

პარსონსმა გამოაქვეყნა ვიდეო, რომელზეც ასახულია, თუ როგორ ნადირობს და კლავს ის ველურ სპილოს აფრიკაში.

სულთანი ჰასანალ ბოლკია

სულთანის მფლობელობაშია პერსონალური ბოინგ 747, რომელიც აღჭურვილია ოქროს უნიტაზებით. მან თავის შვილს „მერსედესის“ მარკის ვატომობილი აჩუქა, რომელიც ზედაპირზე მთლიანად იყო ბრილიანტებით დაფარული.

კლაივ პალმერი

პალმერმა, როგორც ჩანს, „იურიული პერიოდის პარკს“ უყურა და გადაწყვიტა, რომ დინოზავრის კლონები შეექმნა. მას შემდეგ, რაც ეს წამოწყება რეალობაში ვერ განახორციელა, რობოტი დინოზავრები შექმნა და საკუთარი გოლფის მდელოზე განთავსება გადაწყვიტა. ამჟამად ის გეგმავს, გემ „ტიტანიკის“ ზუსტი ასლი შექმნას.

ბიძინა ივანიშვილი

საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი მილიარდერი რუსეთში გახდა. ივანიშვილს ისეთი სახლი აქვს, ფილმებში რომ ბოროტმოქმედებს აქვთ ხოლმე. მისი სახლის ექსტერიერი მთლიანად მიანაშია შესრულებული. ცოტათი კიდევ უნიკალური რომ გაეხადა საკუთარი საცხოვრებელი, ივანიშვილმა პატარა ზოოპარკი დაამატა, სადაც პინგვინებიც კი ჰყავს.

ლეონა ჰელმსლი

ჰელმსლი იმდენად საძაგელ პიროვნებად ითვლებოდა, რომ მას მეგობრები საერთოდ არ ჰყოლია. არც ოჯახის წევრებთან ჰქონია დალაგებული ურთიერთობა. ამიტომ, გარდაცვალების შემდეგ, ანდერძით 12 მილიონი დოლარი თავის ძაღლს დაუტოვა.

ჰოვარდ ჰიუზი

ჰოვარდ ჰიუზი თვითმფრინავებს აშენებდა. ერთ-ერთი ფრენის დროს მას კატასტროფა შეემთხვა, რის შემდეგაც უცნაურობები დასჩემდა. ინციდენტის შემდეგ ჰიუზი საკუთარ კინოთეატრში იკეტებოდა თვეების განმავლობაში და არც შხაპს იღებდა, არც საპირფარეშოში შედიოდა. ჭამით მხოლოდ ტკბილეულს და ქათამს მიირთმევდა.

რობერტ დარსტი

1980 წელს რობერტის ცოლი კეტლინი უკვალოდ გაქრა. გამომძიებლებმა მისი სხეული ვერ იპოვნეს. 2000 წელს გამოძიება განახლდა, როდესაც რობერტის ერთ-ერთი მეგობარი მის სახლში მოკლული აღმოაჩინეს. იმ ნიშნების მიუხედავად, რომ რობერტი სერიული მკვლელი იყო (კიდევ ერთი მკვლელობა მოხდა 2003 წელს), მან დაიქირავა საუკეთესო ადვოკატების გუნდი და ბრალდებებს თავი დააღწია.

მომზადებულია, myfirstclasslife,com-ს **მიხედვით.**

◎ ინფორმაცია

შსს-ს მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელი ზურაბ ზუბადალაშვილი თანამდებობიდან გათავისუფლდა

როგორც შს მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა განაცხადა, ეს არის ჩვეულებრივი საკადრო გადაადგილება.

„ის დაკავებულ თანამდებობაზე აღარ მუშაობს, კადრების განკარგულებაშია ამჟამად და სხვაგან დაინიშნება“, — განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

რაც შეეხება ზურაბ ზუბადალაშვილის შემცვლელის ვინაობას, მინისტრის განცხადებით, ჯერ ეს ცნობილი არ არის.

რეკლამა
29 9-62-77; 568 82-09-84.

შპს „ნეპტუნის“ ს/კ 236031913 პარტნიორებს:

1. გიორგი გოძიაშვილი 01026010010 20 პროცენტი წილის მფლობელი
2. ცეზარ გოძიაშვილი 2 პროცენტი წილის მფლობელი
3. დაგლას ბარი ვუდსი AUS 70475591 60 პროცენტის მფლობელი

შეტყობინება შპს „ნეფტუნის“ ს/კ 236031913 პარტნიორთა კრების მოწვევის შესახებ

დღის წესრიგი:

შპს „ნეფტუნის“ პარტნიორთა მიერ საწესდებო კაპიტალში დამატებითი შენატანის ოდენობის, ფორმისა და წესის დადგენა

წესდების საფუძველზე ვიწვევ შპს „ნეპტუნის“ ს/კ 236031913 პარტნიორთა კრებას შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი, წინაუბნის ქ. №10 2015 წლის 27 მარტს 17 საათზე.

გთხოვთ უზრუნველყოთ კრებაზე გამოცხადება. ყველა პარტნიორს ვაფრთხილებ წერილობით (კანონით დადგენილი წესით) და გაცნობებთ, რომ მოწვევის მიღებიდან 3 დღის ვადაში პარტნიორებს შეგიძლიათ დღის წესრიგში დამატების შეტანა (მეწარმეთა შესახებ კანონის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად).

პატივისცემით შპს „ნეპტუნის“ დირექტორი:
ცეზარ გოძიაშვილი

განცხადება

2015 წლის 11 აპრილს დღის 11 საათზე გაიმართება ჩოხატაურის სააქციო საზოგადოება „ტრანსპორტელის“ აქციონერთა საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. ს.ს. „ტრასპორტელის“ 2014 წლის სამეურნეო საქმიანობის შედეგების და წლიური ბალანსის განხილვა;
2. განცხადებების განხილვა;
3. სამეთვალყურეო საბჭოს არჩევნები.

მისამართი: ჩოხატაური, გოგიბერიძის ქუჩა №49.

ჩოხატაურის ს.ს. „ტრანსპორტელის“
დირექტორი დ. კეკელიძე.

თქვენთვის, გარგანტუეგო!

სიმსუქნე თუ სიცოცხლე?

ზოგჯერ წამალი დაავადებაზე საშინელიცაა

სიმსუქნე ძალიან ბევრ ადამიანს აწუხებს. ვიღაც სპორტულ დარბაზში მიდის, ვიღაცა დიეტაზე ჯდება,ზოგიერთი კი იწყებს საკუთარი თავის მოწამვლას სიმსუქნის საწინააღმდეგო აბებით.

როგორც სასაფლაოზე

არც დიეტა, არც ფიზკულტურა, არც სიმსუქნის საწინააღმდეგო აბები სიმსუქნეს არ აუქმებს. მათი უმრავლესობა, უბრალოდ, გვეხმარება გადავიტანოთ შიმშილი: ადამიანი ზის მკაცრ დიეტაზე და ნაკლებად იტანჯება საჭმლის უკმარისობისგან. მაგრამ დღეს ასეთ პრეპარატებს ცოტა ვინმე თუ აწარმოებს. მათი უმრავლესობა აკრძალულია.

ამგვარი წამლებიდან უკანასკნელი იყო ამერიკული პრეპარატი მერიდია, რომელიც ნივთიერება სიბუტრამინს შეიცავს. მისი წარმოება დიდი პომპით 1997 წელს დაიწყეს და 70 ქვეყანაში დაარეგისტრირეს. პრეპარატმა ფარმაცევტულ საშუალებათა ახალი კლასი გახსნა.

როგორც ამტკიცებდნენ, იგი ზრდიდა დანაყრების გრძნობას და ამცირებდა მოთხოვნილებას საჭმელზე. ამას პაციენტის ტვინზე განსაკუთრებული გავლენით ხსნიდნენ. ასევე აცხადებდნენ, რომ ის გვეხმარებოდა ცხიმების დაწვაში. მაგრამ, მიუხედავად ასეთი უნივერსალობისა, წამლის უნარი — დაბლა დაწიოს წონა — იყო მეტად მორიდებული. თანაც დასაწყისიდანვე მერიდიას უკან მოსდევდა სკანდალები. და დაიწყეს პრეპარატის სერიოზული შესწავლა უსაფრთხოების თვალსაზრისით. შედეგად 2010 წლის დასაწყისში გამოაქვეყნეს გამოკვლევა, რომ იმ ადამიანების 11,4 პროცენტს, რომლებიც პრეპარატით მკურნალობდნენ (ესე იგი ყოველ მეათესა და მეტსაც), გაუჩნდათ თანმდევი ეფექტები: წნევის აწევა, გულის ცემის გახშირება, აგრეთვე ინფარქტი და ინსულტი.

შემდეგ ევროპაში უმალვე მოითხოვეს ამოეღოთ წამალი გაყიდვიდან. 2010 წლის ბოლოსთვის. გამოფხიზლდნენ ამერიკელებიც: **„როდესაც შეადარებთ ერთმანეთს წონის მეტად უმნიშვნელო დაკარგვას, მერიდიას შედეგად რომ მოხდა, და მასთან დაკავშირებულ ინფარქტებისა და ინსულტების რისკს, წამლის შემდგომი არსებობა გაყიდვაში გაუმართლებელი გეგონებათ,** — განაცხადა მაშინ ამერიკის შეკრთებული შტატების პროდუქტებისა და წამლების სამმართველოს ჩინოვნიკმა ჯონ ჯენკინსმა. — **არ არის პაციენტების არანაირი ჯგუფი, ვისთვისაც მერიდიის სარგებლიანობა გადააჭარბებდა მის რისკს“**. ფარმაკომპანია არ დაელოდა ოფიციალურ აკრძალვას და დამოუკიდებლად შეწყვიტა მერიდიას წარმოება და გაყიდვა. არსებითად ეს იყო „ნებაყოფლობით — იძულებითი“ გადაწყვეტილება. მაგრამ, რადგანაც ოფიციალური აკრძალვა არ ხდებოდა, პრეპარატი საბოლოოდ მსოფლიოში არ გამქრალა, აქა-იქ დღემდე აწარმოებენ სიბუტრამინის ასლებს, და ზოგიერთ ქვეყანაში იგი იყიდება.

ამგვარი ისტორია მოხდა ფრანგულ პრეპარატებთან ფენფლურმანთან და დეკსფლურმინთან დაკავშირებითაც: ისინი ადუნებდნენ შიმშილის გრძნობას. 1970-იანი წლებიდან ესენი იყვნენ მსოფლიოში ყველაზე პოპულარული და ეფექტიანი წამლები სიმსუქნის წინააღმდეგ. მაგრამ 1997 წელს მოხდა სკანდალი მთელ მსოფლიოში. ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოარკვიეს, რომ ისინი პაციენტების ერთ მესამედში გულის სარქველების დაზიანებას იწვევდა. ზოგიერთ კურსგავლილს სარქველების გადანერგვის ოპერაციაც კი დასჭირდა. პრეპარატები სასწრაფოდ აკრძალეს და ოფიციალურად იგი მსოფლიოში არსად იყიდება. არაოფიციალურად? სახიფათო წამლების სინთეზირება ხდება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და ზოგიერთ ქვეყანაში შეაქვთ კონტრაბანდით დანამატების სახით.

იძ კი მუცელში...

როგორც ჩანს, მცდელობა „დავამშვიდოთ“ შიმშილის გრძნობა, შეეხება ჩვენი ფიზიოლოგიის ისეთ სიღრმეებს, რომ ამას ყოველთვის თან ახლავს სერიოზული თანამდევი ეფექტები. ამიტომ დიდი ოპტიმიზმით შეხვდა მსოფლიო 1999 წელს პრეპარატ ორლისტატს, რომლის მოქმედებაც მიმართული იყო არა ტვინზე, არამედ კუჭნაწლავზე. მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ მასაც გაუჩნდა კომპრომატი. არის მონაცემები, რომ წამალი ნეგატიურ გავლენას ახდენს ღვიძლზე. დავები მისი უსაფრთხოების შესახებ გრძელდება. მაგრამ პრეპარატი ჯერჯერობით კვლავ მწყობრშია და, არსებითად, ეს არის ერთადერთი წამალი, რომელსაც დღეს ბევრ ქვეყანაში იყენებენ — უკვე 10 წელზე მეტია. თუმცა, იმით მკურნალობა ყველას როდი შეუძლია, მისი გამოყენების ზოგიერთი თავისებურებების გამო. მკურნალობის დროს ძნელია თავი ავარიდოთ პრობლემებს კუჭის მოქმედებასთან დაკავშირებით. თავშეუკავებლობა, ფაღარათი, ძლიერი მეტეორიზმი — ასეთია გახდომის პროცესის შესაძლო თანმდევი ეფექტები. ეს რომ თავიდან ავიცილოთ, საჭიროა, თითქმის მთლიანად ვთქვათ უარი ცხიმებზე. რეალურ ცხოვრებაში პრაქტიკულად ეს შეუძლებელია და, ადრე თუ გვიან, არასასიამოვნო კაზუსები ბევრს ემართება. გაცილებით საიმედოა — სპორტი და ზომიერება ჭამაში.

საგულისყურო ამბების სამყაროში

არჩევანის სიმდიდრე

რაც მეტი აქვს სხვადასხვა ასაკის ადამიანს შესაძლებლობა აირჩიოს პარტნიორი, მით მეტი ალბათობაა, რომ ის საბოლოოდ დარჩება მარტო.

მეცნიერებმა შოტლანდიიდან მოაწყვეს დაკვირვება იმ ქალებსა და მამაკაცებზე, რომლებიც ექსპრეს-ნაცნობობის სეანსებში ღებულობდნენ მონაწილეობას. ამ სეანსების დროს ადამიანებს უნდა გადაეწყვიტათ, შეეფერება თუ არა მათ თანამოსაუბრე, სულ რამდენიმე წუთში.

როგორც გამოირკვა, თუ თანამოსაუბრეები მსგავსები აღმოჩნდებოდნენ, არანაირი პრობლემა არ ჩნდებოდა, მაგრამ, სამაგიეროდ, თუ ისინი სრულიად სხვადასხვაგვარი ტიპები იყვნენ, ადამიანები ხშირად აღმოჩნდებოდნენ ხოლმე უუნარო — აერჩიათ ერთ-ერთი მათგანი. თანაც, ხშირად არჩევანის გაკეთება უფრო რთული იყო მამაკაცებისთვის, ვიდრე ქალებისთვის.

ჩაიცვი წითელი

ქალებს უფრო მეტად მოსწონთ წითელ ტანსაცმელში გამოწყობილი მამაკაცები, ასეთ დასკვნამდე ექსპერიმენტების სერიების მიხედვით მივიდნენ მეცნიერები ამერიკის შეერთებული შტატებიდან.

მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ მამაკაცებს წითელ ტანსაცმელში, ქალთა შეხედულებით, აქვთ უფრო მაღალი სოციალური სტატუსი და დიდი უნარი უზრუნველყონ მატერიალური კეთილდღეობა. მამაკაცების მაღალი სტატუსი კი საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს მათს მიმზიდველობას. მკვლევარებს გაჰყავთ პარალელი ცხოველთა სამყაროსთან. პრიმატებში, მაგალითად, წითელი ფერი — მამლის დომინირების ინდიკატორია, ეს ფერი ყველაზე მეტად ინტენსიურია ალფა-მამლებშიც.

სიყვარულის ფორმულა

იდეალურ ურთიერთობათა ფორმულა გამოიყვანეს გერმანელმა მეცნიერებმა.

ისინი ამტკიცებდნენ, რომ ნებისმიერი მკვეთრი შენიშვნის კომპენსირება აუცილებლად უნდა მოვახდინოთ, როგორც მინიმუმ, ხუთი კომპლიმენტით.

გერმანელმა მეცნიერებმა ასევე აღრიცხეს პრობლემები, რომლებმაც შეიძლება, გათიშულობასთან მიგვიყვანოს. მათ შორისაა — სამუშაოს დაკარგვა ერთ-ერთი პარტნიორის მიერ, ორგულობა, სტრესი, დაავადება და დეპრესია. ამ აბებმა შეიძლება, დაარღვიოს ბალანსი ურთიერთობებში და მიგვიყვანოს წყვილის გათიშვამდე.

კრემი... სისხლისგან

გერმანელმა კოსმეტოლოგებმა აითვისეს კრემის წარმოების ახალი ტექნოლოგია კლიენტის საკუთარი სისხლისგან.

მზა კრემის ქილას კლიენტი ღებულობს 6 საათის განმავლობაში სისხლის აღების შემდეგ. თავად მისი დამზადების ტექნოლოგია ასე გამოიყურება: სისხლს ამუშავებენ ცელსიუსით 37 გრადუსზე, მისგან გამოყოფენ ცილებსა და ზრდის ფაქტორებს. სწორედ ისინია მთავარი მოქმედი ნივთიერებანი. სარეკლამო განცხადებების თანახმად, „კრემი სისხლისგან“ აჩქარებს კანის რეგენერაციას, სტიმულს აძლევს გამომუშავებას კოლაგენისა, რომელიც კანის ელასტიკურობაზეა პასუხისმგებელი. იგი თავიდან გვაცილებს ანთებებს, ნებისმიერ კანს ანიჭებს სიკაშკაშესა და ჯანსაღ იერს, ეფექტიანად ჭიმავს კანის ფორებს.

გოგრა ღამისთვის

სრულფასოვანი ძილი პირდაპირაა დამოკიდებული კვების სწორ რაციონზე — ასეთ დასკვნამდე მივიდნენ მეცნიერები ამერიკის შეერთებული შტატებიდან. გამოირკვა, რომ გარკვეული მჟავები და მინერალური ნივთიერებანი კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენენ დაძინების პროცესზე, მაგალითად, პროდუქტებს კალიუმის გაზრდილი შემცველობით აქვთ უნარი, გააუმჯობესონ ძილის ხარისხი 30 პროცენტით. კალიუმს შეიცავენ ბანანი, ჭერმის ჩირი, აგრეთვე გოგრა. კალციუმი, რომელსაც შეიცავს ხაჭო, რძე და რძის მომჟავო პროდუქტები, ასევე გვეხმარება გავიუმჯობესოთ დაძინების პროცესი. ყველეულს, კარაქსა და მარილიან პროდუქტებს კი გვირჩევენ არ მივიღოთ ძილის წინ, ვინაიდან ისინი, პირიქით, ხელს გვიშლიან ჩავიძიროთ ღრმა ძილში.

ცინცხალი ანეკდოტები

— **რატომ** მიდიხარ უმალ ფანჯარასთან, როგორც კი სიმღერას ვიწყებ? — ეკითხება ცოლი ქმარს.

— რათა მეზობლებს არ ეგონოთ, რომ გცემ.

* * *

ბატალიონი სანგრებს თხრის. მიხოც იმზადებს თავისთვის მსროლელის სანგარს. უკვე ორი მეტრი სიღრმისა ამოთხარა.

— ასე ღრმად რატომ თხრი? მასე ხომ მტერს ვერ დაინახავ! — ეუბნება მეთაური.

— **გგონიათ, ასე ძალიან მინდა მისი დანახვა?**

* * *

„სახელმწიფო — ეს ძალადობაა“ — ვ. ი. ლენინი, 1917 წელი.

რას ვიზამთ, დრონი იცვლებიან.

თანამედროვე სახელმწიფო — ეს გადამგდებია.

* * *

— **მიხო**, გინდა, რომ ორი მტაცებლის ნაღდი ბრძოლა განახო? თუ გინდა, საღამოს მესტუმრე.

— **რა უნდა მაჩვენო?**

— **ჩემს სიდედრს წურბლები უნდა დავასვა!**

კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24